რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 28 მაისი 1917 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 7 კაპ.

თანამედროვე აზრის [illegible]

გაზეთი ღირს: მთელი წლით—15 მ., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით 4 მან. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება ერთ საათამდე 5 მანეთი ხოლო ორის შემდეგ—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალა რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Бохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ტფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

113 ტელეფონი 16—62.

№ 57 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 57

ამხანაგებო! შეგვაძენიეთ პარტიული სტამბა. პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც ტფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 4 მან. 20 კაპ., ერთი თვით 1 მ. 40 კ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: **ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199, ВЛАСІЮ МАЛАКІЕВИЧУ БОХОХАДЗЕ.**

ტფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღას ქუჩა, № 6.

დამწუხრებული ცოლი გლიკერია მიხეილის ასული, შვილი ლეონიდე მოსეს ძე, ძმები მიხაკო, ყარამან და თედორე გიტოს ძე ნინიძეები, რძლები კატო, იულიტი და ალექსანდრა, ძმისწულები ნინა, თამარა, ზაზორა, სერგო, ვლადიმერ, ანატოლი და შალვა ნინიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 28 მაისს სოფელ ასკანაში (გურია) გვბრათის მაცხოვრის ეკლესიაში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი

მოსე გიტოს ძე ნინიძის

გარდაცვალებიდგან ორმოცი დღის აღსანიშნავათ.

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ეკა წულაიასა, დები კესარია და ქსენია, ძმა სევასტი წულაიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ 12 მაის გარდაიცვალა

გიორგი ვასილის ძე წულაია.

დაკრძალვა მოხდა 18 მაისს სოფ. გორაში.

სამტრედიის რ. ს.-დ. მ. პარტიის კომიტეტი

იწვევს მთელი რაიონის პარტიის წევრების **ყრილობას** კვირას, 28 მაისს, რკ. გზის კლუბში დილის 11 საათზე.

განსახილველია 1) კავკასიის პარტიულ სიეზდისთვის წამოყენებული კითხვები; 2) დელეგატების არჩევნები.

კომიტეტი სთხოვს საზოგადოების (სამტრედია, კულაში, ჭაგანი, ეწერი, ჯიხაიში, გაკოჩინებული, ტობანიერი და მეხაყრუე) კოლექტივებს, მოახდინონ ძირითადი ორგანიზაციების კრებები და გაცნონ მოხსენებული კითხვები, რათა რაიონულ საერთო ყრილობისთვის დამზადებულნი იყვნენ წევრები.

3—2

სამტრედიის ს.-დ. რაიონის კომიტეტი.

სახელმწიფო თეატრი.

ორშაბათს, 29 მაისს მსახიობი ქალი ელო ანდრონიკაშვილი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე შალვა დადიანის პიესა

მღვიმეში

ფანტასტიური სანახაობა სამს ნაწილათ. პიესა დაწერილია 1905 წ. და შიგ გამოხატულია ფანტასტიურ სამეფოს ძველი მთავრობის დამხობა.

როლებს შეასრულებენ: ამირეჯიბი ცაცა, დავითაშვილი ნ., ქილარჯიშვილი მ., ბბ. ბარველი, გამყრელიძე, იმედაშვილი, კორიშელი, მატარაძე, მგალობლიშვილი, შალიკაშვილი. თანამშრომლებში ქალები—ანდრონიკაშვილი თამარ, კალატოზიშვილი მაყვალა, მაისურაძე ნინო, ციციშვილი ტასო. აგრეთვე წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს ქნარზე დამკვრელი ქალი ქ. როსტენი.

პიესა დაიდგმება თვით ავტორის რეჟისორობით. სამხატვრო მორთულობას ხელმძღვანელობს გიორგი ერისთავი. დასაწყისი საღამოს ცხრის ნახევარ საათზე. ბილეთები იყიდება სახელმწიფო თეატრის კასაში.

საქალაქო არჩევნების გამო.

განცხადება.

ტფილისის ქალაქის თვითმართველობა და საარჩევნო კომიტეტი ქ. ტფილისისა, ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ აღწერა იმ პირთა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქალაქო არჩევნებში დაიწყება კვირას, 28 მაისს ამა წლისა და გაგრძელდება სამ დღეს. საყოველთაო არჩევნების განსახორციელებლათ, რათა უზრუნველყოფილ იქმნას ყველა მოქალაქისათვის არჩევნებში მონაწილეობა, საჭიროა, რომ მოქალაქეებმა ამ დღეს შეძლების და გვარათ დარჩენ სახლში თვითონ ან და ოჯახის ისეთი წევრი, რომელსაც შეუძლია ოჯახის შემადგენლობის შესახებ სწორი ცნობების მიცემა, ოჯახიდან გასულ წევრებმა სასურველია სახლში დასტოვონ წინასწარ დამზადებული ცნობები თავის შესახებ, აგრეთვე პასპორტი ან სხვა რაიმე დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მას უფლება აქვს ქალაქის არჩევნებში მონაწილეობის მიღებისა.

2—2

ტფ. ქალ. თვითმართველობა და ქალ. საარჩ. კომიტეტი.

ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოების წევრთა

წლიური კრების გაგრძელება

დანიშნულია კვირას, 28 მაისს, საღამოს 7 საათზე დეპუტატთა საკრებულოში.

კრების საგანი: გამგე კომიტეტის, თავმჯდომარის, მის ამხანაგის და წევრთა არჩევნები.

ამ. 1917 წ. მაისის 28, კვირას 12 ს. დღისით ქ. ტფილისში წმ. ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ორმოცი დღის შესრულებისა განსვენებული

სოფიო ფილიპეს ასული ქოქიკაიშვილისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებთა, მეუღლე მისი პავლე ნონიკოს ძე ქოქიკაიშვილი, მისი ქალიშვილი ქეთო და მული მატრონე.

ჭიათურის ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის კომიტეტი.

ამით აცნობებს პარტიის წევრთ, რომ კვირას, 28 მაისს ადგილობრივ თეატრში დილის 10 საათზე დანიშნულია პარტიის წევრთა **საზოგადო კრება.**

კრების მიზანი: საოლქო ყრილობის დღიური წესრიგის გარჩევა.

ამხანაგებს ვთხოვთ უსათუოთ დაესწრონ კრებას, ვინაიდგან გასარჩევია ბევრი სერიოზული და საყურადღებო კითხვები და ასარჩევია დელეგატები საოლქო ყრილობაზე გასაგზავნათ. ნუ დაიგვიანებთ!

იქვე მოხდება ახალი წევრების ჩაწერა.

ჭ. ს.-დ. კომიტეტი.

გიმნაზია ე. ს. ბილანიშვილისა

(სრული უფლებით).

თხოვნები ორთავე სქესის ბავშვებისათვის. თხოვნები მიიღება ყოველ დღე გიმნაზიის კანცელარიაში დილის 10—1 ს-მდე, პირველ სამ დაწყებითი განყოფილებებში და 1, 2 და 3 კლასებში. მისამართი: ნაძალადევი 1 ლი ლოტკინის ქუჩა, № 36, სახლი ბაბა ჩივაზისა.

შაქარი

ტფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი აუწყებს ქალაქ ტფილისის მცხოვრებთ, რომ ხშირი ბოროტ-მოქმედებამ, რომელიც აღმოჩნდა შაქრის ბარათებით გაცემის დროს აიძულებს მას, ივნისის ხვედრი შაქრის გაცემის დროს გულდასმით შეამოწმოს ოჯახის წევრთა რაოდენობა, რომლის სახელზედაც შაქარს ღებულობენ, ამ მიზნით დამზადებულია განსაკუთრებული ბლანკები განცხადებისა, რომლების მიღება შეიძლება საუბნო კომიტეტების კანცელარიებში, საქალაქო და კოოპერატიულ დუქნებში.

შევსებული ბლანკი, რომელშიდაც შეტანილი უნდა იქნეს ყველა ის პირები რომლებიც ერთ ოჯახში ირიცხებიან, უნდა შეტანილ იქმნას იმავე პუნქტებში ბინის წიგნებთან შესამოწმებლათ.

შემოწმებული ბლანკებით, რომელშიდაც შესაფერი წარწერა იქნება აღნუსხული, შეიძლება **ივნისის ხვედრი შაქრის** მიღება კოოპერატიულსა და ქალ. სასურსათო დუქნებიდან.

ბლანკების მიცემა და განცხადებების შემოწმება აღნიშნულ პუნქტებში დაიწყება ორშაბათს, 29 მაისიდან, შაქრის მიცემა კი 1-ლ ივნისიდან.

ახალი შაქრის ბარათები მიეცემათ აღნიშნულ პუნქტებში მხოლოდ შემოწმებულ ბლანკებისა და განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

შაქრის ახალი ბარათების მიცემის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ბინის წიგნებში ყალბი ცნობების შეტანისთვის, დამნაშავენი კანონიერათ დაისჯებიან.

ტფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი

მოქალაქენო! ბინის პატრონებო და ბინის დამქირავებელნო.

ქალ. აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბინის მომწესრიგებელი საბჭო აცხადებს:

1. რომ კვირას, 28 მაისს, შუადღის 12 საათზე, ქალაქის პუშკინის სახელობის სასწავლებლის სადგომში შესდგება კრება მე-5 უბნის სახლის პატრონთა 4 წარმომადგენლის ასარჩევათ საუბნო ბინის მომწესრიგებელ კომიტეტში.

2. რომ კვირას, 28 მაისს, შუადღის 12 საათზე, შესდგება კრება ბინის დამქირავებლებისა 4 წარმომადგენლის ასარჩევათ საუბნო ბინის კომიტეტებში:

მე 3 უბანში—ქალთა მე-3 გიმნაზიაში.
მე-4 „ —ვაჟთა მე-3 გიმნაზიაში.
მე-5 „ —ქალაქ. პუშკინის სახელობის სასწავლებელში.
მე 7 „ —ვაჟთა მეხუთე გიმნაზიაში.
მე-8 „ —1-ლ კომერციულ სასწავლებელში.

სთხოვენ მოქალაქეებს გამოცხადდენ დანიშნულ კრებაზე, რადგანაც კრება კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდენ.

ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ბინის მომწესრიგებელი საბჭო.

მოწოდება ტფ. ქალაქის თვითმართველობისაგან.

მოქალაქენო!

უმაგალითო ომმა ჩაჰყლაპა თავის საჭიროებისთვის მთელი ფაბრიკა ქარხნების წარმოება რუსეთისა,—და მოგვისპო საშუალება გაგვეფართოებია ქალაქის წყალ-სადენი, რომელიც მშვიდობიანობის დროსაც ძლივს ასწრებდა დაეკმაყოფილებია 250 ათასი სულისაგან შემდგარი ტფილისის მცხოვრებთა საჭიროება და რომელიც ეხლა იძულებულია დააკმაყოფილოს 500 ათასი მცხოვრები.

ამ ჟამათ მრავალი ლაზარეთები, სამხედრო ნაწილები, მომაღლო ადგილებზე მცხოვრებლები, წყალ-სადენის ქსელის პერიფერიებში მთელი დღეობით უწყლოდ რჩებიან, მაშინ, როდესაც მთავარ მაგისტრალის რაიონში მცხოვრებნი დაუზოგველათ ღვრიან წყალს და ანგარიშს არ უწევენ მას, რომ მცხოვრებთა დანარჩენი ნაწილი განიცდის წყლის ნაკლებობას.

წყლის უფრო სამართლიანათ გასაწესრიგებლათ, ქალაქის თვითმართველობამ განსაზღვრა წყლის მოხმარება თვითეულ სულზე 1 ნახ. ვედროთი და სადაც წყლის მოხმარება ამ ნორმაზე მეტი იქნება ქალაქის გამგეობა თანდათანობით შეამოკლებს იქ წყლის მიცემას.

რაოდენობა მოსახმარი წყლისა დღე და ღამეში გამორკვეულ იქნება ბინის წიგნების საშვალებით. ქალაქის გამგეობა სთხოვს მცხოვრებთ დაეხმარონ მას ამ ზომის ცხოვრებაში გატარებაში, რომელიც ერთად ერთი საშვალებაა ამ კრიზისის ხანაში წყლის ნაკლებობისთავიდან ასაცილებლად.

1—1

აუქციონი.

ტფილისის ქალაქის ლომბარდი აცხადებს, რომ კვირას, 28 მაისს დილის 10 საათზე, ლომბარდის სადგომში მოხდება საჯარო გაყიდვა ვადა გასული დაგირავებული საგნებისა, რომელიც შესდგება ძვირფასი ლითონეულობიდან და ქვებისაგან, ლითონის საგნებისა, საკერავი მანქანებისა, ნოხებისა, ტყავებისა, ტანსაცმელისა და საერთოთ ყოველგვარი მოძრავი საქონლისაგან.

ტფილისის ორგანიზაციის რ. ს. დ. მ. პ. მეორე რაიონის კოლექტივის ბიურო

მოთავსებულია ზუბალაშვილის სახალხო სახლში. ღიაა 10—1 საათამდე და 5—7-ამდე. შესასვლელი ეზოდან, მეორე სართულზე. აქვე შეიძლება პარტიის წევრების ჩაწერა, შოვნა პარტიულ ლიტერატურისა და აგრეთვე მიღება ხელის მოწერა ყველა ადგილობრივ პარტიულ გაზეთებზე ბიუროს საშუალებით.

ბიურო და კლუბი მეოთხე რაიონულ კოლექტივის ტფ. ორგ. რ. ს.-დ. მ. პ. მოთავსებულია ლორის-მელიქოვის ქუჩაზე (პირველ ქალების გიმნაზიაში). აქვე შეიძლება ჩაწერა ს.-დ. პარტიაში რეკომენდაციით, მიღება სხვადასხვა ცნობებისა, იყიდება წიგნები, ბროშიურები და გაზეთები და სხვა. ვსთხოვთ ყველა ამხანაგებს, ვისაც აქვს კვიტანცია. წიგნაკები და ფული დაუყონებლივ შემოიტანონ ხაზინადარ ამხ. ზუკაკიშვილთან ბიუროში.

ბიურო ღიაა დილ. 10—3 ს—დე. და საღ. 6—7 ს—დე.

მდივანი ე. კალანდარიშვილი.

ვთხოვთ ყველას, ვინც კი იცის მისამართი **ტაბნიძის იაკობ პეტრეს ძე ავალიშვილისა** (მცხოვრები ქ. ქუთაისში და რომელიც კავკასიის ფრონტზე არის სამსახურში), გვაცნობოს ამ მისამართით: სად. მიხაილოვო ანტონ ტერზოპულოს, რაზედაც წინდაწინვე ღრმეს მადლობას შევსწირავთ თხოვნის შემსრულებელს.

მუშების მონდობილობით ანტონ ტერზოპულო.

3—2

ბურჟუაზია ირაზმება.

რუსეთისა და ევროპის ბურჟუაზია ირაზმება და მას „წითელი“ საფრთხის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევს. განსაკუთრებით რუსეთის გაბატონებული კლასები პროლეტარიატის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა მოთხოვნებმა დააფრთხო და ის რევოლიუციონური ენტუზიაზმი, რომელსაც კი ისინი რევოლიუციის პირველ ხანებში იჩენდენ თანდათან ნელდება.

ახლა ესენი გამოცალკევებულ ორგანიზაციას ადგენენ, მუშათა კლასის „ზედმეტ“ მოთხოვნებს კრიტიკაში უდგებიან და უკანასკნელებს ნაცადი გზით ებრძვიან.

ჯერ იყო და მათ მთელი რუსეთის საზოგადოება წარმოებისა და ფინანსიური კრიზისის შიშით დააფრთხეს და ქვეყანას ეუბნებოდენ, რომ ადრე თუ გვიან მთელი საზოგადოებრივი საწარმოვო ძალთა ურთიერთობა კრიზისის უფსკრულში გადიჩეხება და წარმოების სფეროში წარმოუდგენელი დაქვეითება გამეფდებაო.

რევოლიუციის დაწყებამდე ბურჟუაზია სხვა კილოთი მღეროდა, მას ასეთი დაღუპის ლოზუნგში არ წამოუყენებია. და როცა მემარცხენე პრესა და დემოკრატია საერთაშორისო ომის მიერ გამოწვეულ ეკონომიურ და ფინანსიურ კრიზისის აუტანლობაზე ლაპარაკობდა, მაშინ ბურჟუაზია ასეთ საყვედურებზე ტარტაროზულ გულცივობას იჩენდა და სამაგიეროთ ომის ბოლომდის გაგრძელებას გაჰკიოდა.

ხოლო ახლა მდგომარეობა არსებითად იცვლება. ამჟამათ ეკონომიურათ გაბატონებული კლასები წარმოების დაქვეითებაზე მოსთქვამენ და წარმოუდგენელი ეკონომიური კრიზისით გვემუქრებიან. მუშათა კლასის ხელფასის მომატების ბრძოლამ მათ სულიერი სიმშვიდე დაუკარგათ და უკანასკნელებიც თავისებურათ ირჯებიან. მრავალ საწარმოვო რაიონებში წარმოება შემცირდა. მრეწველობა-ვაჭრობის მინისტრის ცნობით მარტო პეტროგრადში 50 ათასი მუშა ხელი უმუშევრათ არიან დარჩენილნი. კალუგის გუბერნიაში შუშისა და ლითონის ქარხნები იკეტება, რიაზანის გუბერნიაში წარმოების მრავალ დარგებში მუშათა რიცხვი ნახევრათ შემცირდა; ქარხნები დაიკეტა აგრეთვე კოსტრომის რაიონში; წარმოების შეჩერებას ვხედავთ დონის სამთომადნო მღაროების ოლქში. ერთი სიტყვით კრიზისი დღითი დღე ძლიერდება.

რა მიზეზია, რამ გამოიწვია ასეთი წარმოების კრიზისი და უმუშევრობა?

კვირას 28 მაისს საღამოს ხუთ საათზე თფილისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. თფილისის ყველა რაიონების კოლექტივის წევრების შეერთებულ კრებას იწვევს ქალთა პირველ გიმნაზიის შენობაში (ლორის მელიქოვის ქ.). ამხანაგებს სთხოვენ უსათუოთ კრებას დაესწრან.

კაპიტალის მაგნატები ამტკიცებენ, რომ ასეთ კრიზისში ცოდვა მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასს მიუძღვის. მათ თავიანთი „ზედმეტი“ ეკონომიური მოთხოვნებით მრეწველობა გაანადგურეს და მწარმოებელთ აღარ შეუძლიან წარმოების გაგრძელება.

მაგრამ ბურჟუაზიის ასეთი უსამართლო საყვედური თვალებს ვერავის აუხვევს და დემოკრატია ასეთ საბუთების სიყალბეში დიდი ხანია დარწმუნებულია.

ყველამ კარგათ იცის, რომ მრეწველთა კლასმა საერთაშორისო ომის ხანაში ზედმეტი ღირებულებისა და სპეკულიაციის მეოხებით მილიარდები ჩაიჯიბეს და ახლა როცა პროლეტარიატმა თავისი უმწეო მდგომარეობის ოდნავ გაუმჯობესობისათვის გროშების მომატება მოითხოვეს, ისინი, როგორც „ბირჟ. ვედ.“ სამართლიანათ შენიშნავს განზე გასვლით გვემუქრებიან და კრიზისის საფრთხით ყურებს გვ ჭედენ. იმის მაგიერ, რომ მათ წარმოების ნაყოფიერება გაედიდებიათ, ინტენსიური წარმოება დაეწყოთ, წარმოებას სცილდებიან და ლოკაუტებს აცხადებენ. ესენი მიჩვეულები არიან დიდ მოგებას, ბარბაროსულ ექსპლოატაციას და როცა მათ ასეთ სურვილს წინ პოლიტიკურათ განთავისუფლებული მუშათა კლასი ორგანიზაციულათ წინაალუდგა—ისინი, როგორც სვთქვით ლოკაუტებისაკენ მიესწრაფიან და ომის გამო გამოწვეულ კრიზისს უფრო მეტათ აღრმავებენ.

წარმოებაში კაპიტალის შემცირებას ბანკებში და ფინანსიური დაწესებულებაში ფულის დაგროვება მისდევს. კაპიტალისტები ეხლა იძულებულნი არიან თავიანთი აუარებელი კაპიტალი საზღვარ გარეთაც კი გადაიტანონ და იქაურ ბანკებში მოათავსონ. „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთის“ ცნობით ფინლიანდიის ბანკებში რუსეთის იმდენი ფული დატრიალდა, რომ ერთ დროს რუსეთის მანეთს აღარც კი ახურდავებდენ.

ინგლის-საფრანგეთისა და ბელგიის კაპიტალი ომის წინ და ომის შემდეგაც რუსეთის ბანკებში და რუსეთის საწარმოვო დარგებში ასი და ათასი მილიონობით მოთავსდა. ძველი რეჟიმის დროს, როგორც რუსეთის, ისე საზღვარგარეთის კაპიტალისტების ინტერესები უზრუნველყოფილი იყო და უკანასკნელნი უმოწყალოთ გაყვლეფას ეწეოდენ. რუსეთისა და საზღვარ გარეთის კაპიტალისტები მუშათა კლასს და გლეხ კაცობას დაუნდობლათ ექსპლოატაციას უწევდენ და წარმოუდგენელ მოგებას იღებდენ.

მაგრამ მუშათა კლასის და გლეხ კაცობის მიერ გამოწვეულმა რევოლიუციამ ერთსაც და მეორესაც საშუალება მისცა რუსეთისა და საზღვარგარეთის კაპიტალისტების წარმოუდგენელი მოგება ოდნავ შეემცირებიათ და ხელფასის მომატება მოეთხოვათ.

პროლეტარიატის ასეთმა ნაბიჯმა კი კაპიტალისტებს ძილი დაუფრთხო და საფრანგეთ ინგლისის კაპიტალისტები ირაზმებიან და მთელი ევროპის კონტრევოლიუციონურ დროშას აფრიალებენ: ესენი რუსეთის ბურჟუაზიასთან ერთად ცდილობენ ჯერ რუსეთის რევოლიუციის გასრესას და მერე ევროპის, რომელსაც „წითელი“ საფრთხე ჩრდილოეთიდან მოელის.

აი ასეთ პირობებში საერთაშორისო პროლეტარიატს მეტი ორგანიზაცია, მეტი შეკავშირება სჭირდება—განსაკუთრებით უნდა შეკავშირდეს რუსეთის მუშათა კლასი და მან სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს დარაზმულ ბურჟუაზიას. რუსეთის მუშათა კლასის გამარჯვება თავდებია საერთაშორისო მუშათა კლასის გამარჯვების და ბურჟუაზიის დარაზმვის შეჩერების. მაშ დავირაზმოთ!

საქალაქო არჩევნები.

დღეს, დილის 8 საათიდან იწყება ქალაქის იმ მცხოვრებთა აღწერა, რომლებსაც საარჩევნო უფლება აქვთ.

რევოლიუციამ დაამხო მეფის მთავრობა და ამით მან სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ცენზიან თვითმართველობას.

ამიერიდან ნახევარ მილიონიან მცხოვრებ ქალაქის ბედ-იღბალი დემოკრატიის ხელში გადადის, დემოკრატია განურჩევლათ სქესისა, უნდა გაუძღვეს ქალაქის საქმეებს. კარგად უნდა იცოდეთ, რომ გაბატონებული კლასები არავითარ საშუალებას არ დაერიდებიან, რომ თავიანთი პოზიციები შეინარჩუნონ, იგინი ამ პოზიციებს არას გზით, არას დროს არავის არ უთმობენ. ასე ხდება დღესაც. ქალაქის საბჭოში გაბატონებული პლუტოკრატია და მის კუდში მოჩანჩალე ვიწრო ნაციონალისტური წრეები თავგამოდებით ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა.

დღეიდან იწყება ამომრჩეველთა აღწერა. უკეთუ დემოკრატია განზე დადგება, თუ დემოკრატიული ამომრჩეველი თვალ ყურს არ ადევნებს, რომ ის სიიდან არ გამოტოვონ, მაშინ პლუტოკრატია გაიმარჯვებს.

ამხანაგებო და მოქალაქენო! გახსოვდეთ, რომ ეხლა სწყდება ქალაქის ბედი, გახსოვდეთ რომ ეხლანდელ საქალაქო არჩევნებს გავლენა ექნება მომავალ დამფუძნებელ კრების არჩევნებზე. არც ერთმა დემოკრატ-ამომრჩეველმა არ უნდა დაჰკარგოს თავისი ხმა. ელოდეთ სახლში აღმწერლებს. მზათ გქონდეთ თქვენი საარჩევნო უფლების დამამტკიცებელი საბუთები. უკეთუ სახლში ცდა არ გეხერხებათ და საქმემ გარეთ გაგიწვიოთ დაუტოვეთ სახლში ვინმეს საჭირო ცნობები და საბუთები. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თქვენი საარჩევნო სიაში შეტანა, რითაც უზრუნველყოფილი იქნება საქალაქო არჩევნებში დემოკრატიის გამარჯვება.

მოქალაქენო! თვალ-ყური ადევნეთ საარჩევნო სიების შედგენას. დეე, არც ერთი ამომრჩეველი არ დარჩეს უხმოთ! დეე არც ერთი ისეთი ამომრჩეველი არ იქნას შეტანილი სიაში, რომელსაც ხმის უფლება არა აქვს. ქალაქში ოთხმოციათასამდე უცხოეთის ქვეშევრდომი არის, უმთავრესად ოსმალეთიდან და სპარსეთიდან გადმოხვეწილნი. ამათ საარჩევნო უფლება არა აქვთ, ქალაქში მრავალია აგრეთვე ისეთი პირი, რომლებსაც სასამართლოს მიერ წართმეული აქვს საარჩევნო უფლება. გახსოვდეთ, რომ არც ერთი უცხოეთის ქვეშევრდომი არ უნდა იქნას შეტანილი საარჩევნო სიაში! არ უნდა იქნეს შეტანილი სიაში ის პირი, რომელსაც საარჩევნო უფლება წართმეული აქვს! თვალ-ყური ადევნეთ, რომ მათი ხმებით არ ისარგებლონ დემოკრატიასთან საბრძოლველათ.

მოქალაქენო! შეასრულეთ თქვენი მოქალაქეობრივი მოვალეობა და მით თავზარი დაეცით პლუტოკრატიას, ის მაშინ დამარცხდება!

მოქალაქენო! მხოლოდ ამ გზით შეიძლება რევოლიუციის გაღრმავება და დემოკრატიის გავლენის განმტკიცება.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ. 24—25 მაისი.)

მთავარსარდლის ბრძანება.

მინსკი. დასავლეთის ფრონტის მთავარსარდალმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: ტყვეთ ჩავარდნილმა გერმანელებმა გადმოგვცეს, რომ ორი თვე იქნება რაც რუსები და გერმანელი ჯარისკაცები გაცვლა გამოცვლით ვაჭრობას ეწევიან. ვაჭრობა ხდება უმთავრესათ რუსების სანგრებში. რუსები პურს აძლევენ გერმანელებს და გერმანელები კიდევ დანებს, საათებს, სიგარებს, სამართებლებს და სხვა. რუსი სალდათები ამ გვარათ ძლიერ ხელს უწყობენ გერმანელებს გადაიტანონ სასურსათო კრიზისი. რუსი აფიცრები წინააღმდეგობას უწევენ ამგვარ მოქმედებას, ხოლო გერმანელი აფიცრები კი პირიქით ხელს უწყობენ, რომ რუსების პურით თვით ჯარისკაცები გამოაძღონ. მოაგონებს რა ამ არა სასიამოვნო ამბებს, მთავარ სარდალი გურკო მწუხარეობით აღნიშნავს, რომ ასეთი მოქმედება სამშობლოს ღალატია, ის პური და შაქარი, რომელსაც რუსის ჯარის კაცები გერმანელებს აძლევენ, მშიერ კუჭს გამოუძლობდა რუსეთის ხალხს, რომელიც უკანასკნელ ლუკმას აძლევს ჯარს. „დეე ახსოვდეთ ჯარისკაცებს თავიანთი დედები, მამები, თავიანთი ოჯახები და შვილები, რომლებიც ნახევრათ მშივრები არიან, ყველაფერს იკლებენ, რომ ფრონტი მაძღარი იყოს“. დასასრულ გურკო იმედს აცხადებს, რომ ასეთი ამბები აღარ განმეორდება და უკეთუ კიდევ ვინმემ ჩაიდინა ასეთი საქმე მას პასუხისგებაში მისცემენ.

გლეხთა ყრილობის შუამდგომლობა.

ტამბოვი. გლეხთა საგუბერნიო ყრილობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას დააწესდეს მაგარი ფასები რკინაზე, სამანუფაკტურო საქონელზე, ტყავზე და სხვ.

ფრონტის ყრილობის რეზოლიუცია.

ოდესა. ფრონტის ყრილობამ რეზოლიუცია გამოიტანა რუსეთ-რუმინიის ფრონტზე ანტისემიტური აგიტაციის გაწევის წინააღმდეგ. ყრილობამ სურვილი გამოსთქვა. რომ დროებითმა მთავრობამ ხმა აღიმაღლოს დაჩაგრულ ებრაელთა დასაცავათ და პროტესტი განაცხადოს იმ სასტიკ ზომების წინააღმდეგ, რომლებსაც ადგილი აქვს რუმინიაში.

ნაციონალური საკითხი.

ოდესა. ფრონტის ყრილობაზე რეზოლიუცია მიიღეს ნაციონალურ საკითხის შესახებ. ამ რეზოლიუციით ყრილობა აღიარებს ნაციონალურ ტერიტორიალურ ავტონომიას.

დროებით მთავრობის დადგენილება.

პეტროგრადი. დროებითმა მთავრობამ მოიწონა რა მინისტრ წერეთლის და სკობელევის მოქმედება, დაადგინა: 1) წინადადება მიეცეს კრონშტატის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აირჩიოს კანდიდატი კრონშტატში დროებით მთავრობის წარმომადგენლათ, 2) შეუდგენ კრონშტატში საბჭოს წევრების არჩევას, თანახმათ დროებით მთავრობის მიერ 1917 წლის 15 აპრილს გამოცემულ დადგენილების, 3) მიენდოს იუსტიციის მინისტრს შეადგინოს საგამომძიებლო კომისია ექვსი კაცისაგან, სასამართლოს უწყებიდან, ვექილებიდან და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტიდან. წინადადება მიეცეს ამ კომისიას მოიწვიოს კრონშტატის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარენი და შეუდგეს კრონშტატში დაჭერილ პირთა საქმის გარჩევას, ის პირნი, რომელთაც ეს კომისია პასუხის გებაში მისცემს, უნდა გამოიგზავნონ პეტროგრადში, მასთან ერთათ საქმის გარჩევის დროს უნდა მოიწვიონ დაინტერესებულ კომანდის წარმომადგენლები. ის პირნი კი, რომელთა წინააღმდეგ საკმაო ბრალდებები ვერ იქნება წამოყენებული და პასუხ სგებაში არ მისცემენ, დაუყონებლივ განთავისუფლდენ, რის შესახებაც ეცნობოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს და მთელ გარნიზონს.

გენ. გურკოს შუამდგომლობა.

პეტროგრადი. სამხრეთ-დასავლეთ ფრონტის მთავარ სარდალი გენ. გურკო შუამდგომლობს გაანთავისუფლონ თანამდებობიდან.

ქურდების დახოცვა.

სიმფეროპოლი. ევპატორიაში ბრბომ ქურდები დაიჭირა და იქვე გაასამართლა. მოჰკლეს 7 კაცი.

25 მაისს ერთ თათრის ოჯახში მივიდნენ უცნობი პირნი, რომლებსაც მილიციონერების ტანისამოსი ეცვათ და უნდოდათ ჩხრეკა მოეხდინათ. ნამდვილათ იგინი მძარცველები აღმოჩნდენ. დიასახლისმა ყვირილი ასტეხა. მას რევოლვერი დაახალეს და მძიმეთ დასჭრეს, ყვირილზე ხალხი შეგროვდა და გაქცეულ მძარცველებს გამოუდგენ. დაიჭირეს 7 კაცი, ტანთ გახადეს გადაასხეს ნავთი და დასწვეს.

კიშინევი. სოფელ ტრუშენის გლეხებმა სოფლის ყრილობაზე დაადგინეს დახოცონ ქურდები და მძარცველები. მათ დაიჭირეს ცნობილი ქურდი კუზანი, გამოსჭრეს ყელი ცხენის კუდზე მიაბეს და მთელ სოფელში ათრიეს. შემდეგ გვამი სოფლის გარეთ ძაღლებს მიუგდეს შესაჭმელათ.

თათბირი დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ.

პეტროგრადი. 25 მაისს გაიხსნა თათბირი დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ. თათბირი გახსნა მინისტრ-თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მუშაობას და რამდენათ რთულია იგი, აუცილებელი საჭიროა განხორციელებულ იქნას სამართლიანობა ხალხის ყველა ნაწილისა და ერებისადმი. დამფუძნებელი კრება—სთქვა თ. ლვოვმა—არის ხალხის ნების უმთავრესი ორგანო, რომელიც დაათავრებს რუსეთის რევოლიუციას და საძირკველს ჩაუყრის მომავალ თავისუფალ დემოკრატიულ რუსეთის სახელმწიფოს. დამფუძნებელი კრება პასუხს აგებს რუსეთის მომავალ ცხოვრებისათვის. ეს დიდი მისი მნიშვნელობაც ამ პასუხის მგებლობასთან უნდა იყოს შეფარდებული. დამფუძნებელი კრება უნდა იყოს ხალხის გონებრივ და ზნეობრივი ძალის განხორციელება. მისმა წევრებმა უნდა იცოდნენ რა დიდ საქმისთვის იქნებიან მოწვეულნი და მთელი ძალ-ღონით უნდა შეუდგენ ნაყოფიერ მუშაობას. რევოლიუციონურ რუსეთში დღეს თვითგამორკვევის პროცესი ხდება. მთელი ხალხი დაინტერესებულია მით თუ როგორ განხორციელდება მისი ნება და ამის განსახორციელებლათ თვით გაგვიწევს დახმარებას“.

შემდეგ მან თავმჯდომარეობა კოკოშკინს გადასცა. კოკოშკინმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც აღნიშნა დამფუძნებელ კრების დიდი მნიშვნელობა. დამფუძნებელი კრება—სთქვა მან—უნდა აირჩეს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული ხმით, განურჩევლათ სქესისა. მაგრამ ასეთი კანონის შემუშავება სხვა და სხვა პირობების გამო ერთობ ძნელია. წინადადება შემოაქვს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლს ბრამსონს უკამათოთ მიიღონ ნაკაზი და პირდაპირ საქმეს შეუდგენ, რადგან დამფუძნებელ კრების მოწვევა ძლიერ საშური საქმეა. თათბირი ერთხმათ ღებულობს ამ წინადადებას. შემდეგ თათბირი მდივნათ ირჩევს ავინოვს, ამხანაგებათ პანტოვიჩს და ძიუბინსკის; თავმჯდომარის ამხანაგებათ—მიაკოტინს და კოხმანს. დაადგინეს აგრეთვე აირჩიონ ორი კომისია 20 კაცისაგან შემდგარი.

უმაღლეს სასწავლებლის მოსწავლეთა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება.

პეტროგრადი. შესაძლებლათ სცნეს გაანთავისუფლონ სამხედრო სამსახურიდან უმაღლეს სასწავლებლის ყველა ის მოსწავლენი, რომელნიც შარშან იყვნენ გაწვეულნი და ვადა მიეცათ, და რომელნიც ვადის გათავების შემდეგ იმ კურსებზე გადავიდნენ, რომელნიც ჯარში გაწვევისაგან ანთავისუფლებენ.

საფრანგეთის სენატი ომის შესახებ.

პარიზი. სენატმა ერთხმათ მიიღო მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულა, რომლითაც აცხადებს, რომ მტკიცე ზავი შესაძლებელია მხოლოდ სრულის გამარჯვებით. ქვეყნის ნება მოკავშირეებთან ვალდებულების შესახებ შეურყეველი დარჩება და თავის დღეში არ უღალატებს ხალხთა თავისუფლების პრინციპს. საფრანგეთი განაგრძობს ომს მანამდე, სანამ ელზას ლოტარინგიას არ დაიბრუნებს, სანამ ჩადენილ ბოროტმოქმედებისთვის პასუხს არ აგებენ და ზარალს არ აუნაზღაურებენ და გარანტიას არ მოგვცემენ, რომ გერმანიის მილიტარიზმი კიდევ აღარ წამოჰყოფს თავს და იარაღს ხელში არ აიღებს.

გაგიჟებული ჯარისკაცი.

დონის როსტოვი. რკინის გზის სადგურზე უცბათ გაგიჟდა ჯარისკაცი მოჰკლა 4 კაცი და ოთხიც დაჭრა, შემდეგ თვითონ მოჰკლეს.

ფინანსიური კრიზისი გერმანიაში.

სტოკჰოლმი. გერმანელებს განზრახვა აქვთ ქალაქის სესხი ძალათ აკისრებინეს ყველა მცხოვრებთ, ქონების მიხედვით.

სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობა.

პეტროგრადი. 24 მაისი. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების ყრილობაზე, რომელიც 1 ივნისში უნდა იქნას მოწვეული 1600 დელეგატი დაესწრება.

შინგარიოვის განცხადება.

21 მაისს დროებითი მთავრობის კრებაზე შინგარიოვმა სასურსათო საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა, მინისტრის ცნობით სასურსათო საქმე წესრიგდება და კრიზისი მოსალოდნელი აღარ არისო.

დამფუძნებელი კრების პროექტი.

დროებითი მთავრობასთან არსებულმა იურიდიულმა თათბირმა მომავალი დამფუძნებელი კრების პროექტი არჩევნების შესახებ უკვე შეიმუშავა.

არქიმანდრიტის დატუსაღება.

კიევი. 25 მარტს. პოლკების კომიტეტების მოთხოვნით დააპატიმრეს არქიმანდრიტი ვიტალი.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 26 მაისი. დასავლეთის ასპარეზზე და რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ფრონტზე, ქერმანშახისა და ქ ნიკინის შუა ჩვენს საყარაულოებსა და ტრანსპორტს ქურთთა რაზმები ესხმიან.

ჰაეროპლანების მოქმედება. ტარნოპოლის დასავლეთით, დაბა ვიმისლოვსკთან მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ჩამოვაგდეთ აგრეთვე გერმანელების ჰაეროპლანი კრუტნევის რაიონში. მფრინავი ტყვეთ წამოვიყვანეთ.

პარიზი. 25 მაისი. სენ-კანტენის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პოზიციებზე გერმანელებმა სასტიკი იერიშები მოიტანეს, მაგრამ ჩვენ მათი იერიშები შევაჩერეთ. შმენ დე-დამის რაიონში ორივე მხარე ერთმანეთს ზარბაზნის ყუმბარებს უშენენ.

ელზასის ზემო ნაწილში მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

24 მაისს, ჩვენმა მფრინავებმა გერმანელების ორი ჰაეროპლანი ჩამოაგდეს.

ბალკანეთში, ვარდარის მარჯვენა ნაპირთან მტერმა საარტილერიო სროლა დაიწყო.

პარიზი. 24 მაისი. გუშინ გერმანელთა იერიშები მოვიგერიეთ. ფლეშის სამხრეთით მტერმა მოახერხა ჩვენი სანგრების პირველი წყების დაკავება.

ლონდონი. 24 მაისი. საფრანგეთის ფრონტზე, სკარპის ჩრდილოეთით, ვაჲპას მაღლობთან, აგრეთვე ლანსას დასავლეთით ჩვენ ოდნავ წინ წავიწიეთ. არმანტიერის ჩრდილოეთით მტრის ბანაკს მოულოდნელათ თავს დაესხით და დიდი ზარალი მივაყენეთ.

ლონდონი. 24 მაისი. კარპის ჩრდილოეთით, გრინლანდის მაღლობებთან მტრის პოზიციები დავიკავეთ. აქ ტყვეთ ჩაგვივარდა 161 ჯარისკაცი და 2 აფიცერი. ტყვეები წამოვიყვანეთ აგრეთვე იპრის რაიონებში ბრძოლის დროს. ვაჲპის რაიონში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

გუშინ ჩვენმა მფრინავებმა გერმანელების 8 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. ამ ბრძოლის დროს ჩვენებმა 7 ჰაეროპლანი დაჰკარგეს.

ლონდონი. 25 მაისი. ეგვიპტეში საარტილერიო ბრძოლა დაიწყო. ბირშევის რაიონში ყუმბარები ჩავყარეთ.

ვაშინგტონი. 24 მაისი. გუშინ შეიარაღებულმა სავაჭრო გემმა გერმანელების წყალქვეშა ნავი ჩასძირა.

ახალი ამბები.

ამხ. რ. (მიშა) არსენიძეს მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება. იმედია, რომ ამხანაგი მალე განიკურნება.

გაფიცულები. სარეცხ ქარხნებში მომუშავეთა მოთხოვნილებას ქარხნის პატრონები არ აკმაყოფილებენ. გაფიცვა გრძელდება. ამხანაგებს სთხოვენ გამაგრდენ და თავისი მოთხოვნილებანი ბოლომდი დაიცვან.

◆ **სეირნობის გადადება.** სეირნობა, რომელსაც 28 მაისს სახალხო ბაღში მართავდა ს.-დ. განათლებული საზოგადოება, საზოგადოების გამგეობისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო სხვა დროისთვის გადაიდო. დღე და ადგილი სეირნობისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **სოფ. ალვანიდან** (თიანეთის მაზრა) მოვიდა დეპეშა, რომელიც იტყობინება, რომ იქ დიდი მიტინგი მომხდარა. ორატორებს ულაპარაკიათ თანამედროვე მომენტზე. შემდეგ მიუღიათ რეზოლიუცია: უნდა მოვითხოვოთ რუსეთში დამყარებულ იქნას დემოკრატიული რესპუბლიკა და ყოველ ერს საშუალება ჰქონდეს თავის მართვა-გამგეობა ისე მოაწყოს, როგორც მისთვის საჭიროა და სასურველია. კერძოთ საქართველომ უნდა მიიღოს ტერიტორიალური ავტონომია და ამავე დროს რუსეთთან განუყოფელად დარჩეს.

◆ 25 მაისს თ. კიკვიძემ წაიკითხა ლექცია „დამფუძნებელ კრებაზე“. ლექციას დაესწრო 300 მსმენელი. მსმენელთა თხოვნით ლექტორი შემდეგ ლექციას წაიკითხავს პირველ ივნისს შემდეგ თემაზე: „საზოგადოებრივი განვითარება და სოციალიზმი“.

◆ 29 მაისს არტისტი [illegible] ანდრონიკაშვილი თფილისის [illegible] თეატრში გამართავს [illegible] იქნება ახალი პიესა შალვა დადიანის „[illegible]“.

◆ ძვირფას ამხანაგს რ. არსენიძეს, რ. ს. დ. მ. პ. რაიონული კოლექტივი, რაიონული კომიტეტი და მე 11 უბნის სასურსათო კომიტეტის წევრები უღრმეს თანაგრძნობას უცხადებენ ამხანაგს და უსურვებენ მას მალე განკურნებას. თავმჯდომარე დ. კახიანი.

◆ მძიმეა ჩვენთვის ამხ. მიშა არსენიძეს ავათმყოფობა. მან თავის პირადი ბედნიერება მუშათა კლასის ინტერესების დაცვას შესწირა. ვუსურვებთ მას მალე განკურნებას. [illegible] დ. ჩიგოგიძე.

◆ ამიერ კავკასიის კომიტეტი ზაქათალის ოლქში გზავნის განსაკუთრებულ კომისიას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს მიზეზები იქაური არეულობისა.

◆ 24 მაისს მოხდა პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური ბიუროს სხდომა, რომელზედაც დაესწრო 40 წარმომადგენელი. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) მანდატების დამტკიცება, 2) ცენტრ. ბიუროს წესდების განხილვა და დამტკიცება, 3) სეკრეტარიატის არჩევნები, 4) კავშირების წესდების განხილვა, 5) საერთო კონფერენციის წესრიგის განხილვა, 6) პროფესიონალურ ორგანიზაციაზე, 7) წითელ ლიტერატურაზე, 8) არჩევნებთან დაკავშირებული და 9) მიმდინარე საქმეები. მანდატები ყველა დამტკიცებულ იქნა ერთის გარდა. განხილულ და მიღებულ იქნა ცენტრ. ბიუროს წესდება, ცვლილებით შესწორებით. მოხდა არჩევნები პრ. კავშირების ცენტრ. ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს სულ 11 კაცი. აგრეთვე არჩეულ იქნა სარევიზიო და სარედაქციო კომისია. დანარჩენი კითხვები გადაიდო 30 მაისისთვის.

◆ დღეიდან დალაქები თავის სახელოსნოებს დილის 8 ს. აღებენ და საღამოს 10 საათ. კეტავენ. ყურადღებას არავინ აქცევს ახალ წესებს. საჭიროა ამას მიხედოს პროფესიონალური კავშირის გამგეობამ.

◆ 26 მაისს მოხდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. წესრიგი: 1) მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ყველა სექციების შეერთება. 2) დამატებითი არჩევნები ქალაქის არჩევნების კომისიაში და გასულ წევრთა შევსება. 3) სოფლებში დროებით გაშვება იმ სალდათებისა რომელთაც ორმოცი წელი და მეტი შეუსრულდათ. 4) მიმდინარე მომენტი. ბიუროს გადაწყვეტილება ყველა სექციების გაერთიანების შესახებ მიღებულ იქნა: მოხდა ახალ წევრების არჩევა, ახალ შეერთებულ კომისიაში. მუშათა და სამხედრო მომარაგებელ კომისიის გაერთიანება გადადებულ იქნა შემდეგ კრებამდის. დაარსეს შემდეგი კომისიები: მილიციის კომისია, სპეკულიაციის კონფისკაციის კომისია, სომეხ-თათართა დამოკიდებულების კომისია, [illegible] სანიტარიის მომწყობ-მოვლის კომისია. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების შეერთების შესახებ დაადგინეს მოხდეს ნაწილობრივი გაერთიანება. იმ სალდათების დათხოვნის შესახებ, რომელთაც 40 წელი და მეტი შეუსრულდათ, კრებაზე ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. ეს კითხვა გადაიდო 27 მაისისთვის.

◆ თფილისის სახელმწიფო თეატრის კაპელდინერებმა საჩივარი აღძრეს მუშათა კომისიის წინაშე თეატრის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. თხოულობენ ზარალის ანაზღაურებას, რაც მათ ადმინისტრაციის მეოხებით მოუვიდათ. მუშათა კომისიამ განიხილა ეს საქმე და უყურადღებოთ დასტოვა.

◆ ქანანოვის ქარხანაში მომუშავეებმა მუშათა კომისიაში განაცხადეს, რომ პატრონმა ისინი უსამართლოთ დაითხოვა სახელოსნოიდან. გამორკვევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პატრონს ისინი არ დაუთხოვნია, არამედ დროებით სამუშაო შემოაკლდა და მალე ისევ დაიწყება მუშაობა. მუშათა კომისიამ დაადგინა ნახევარი ჯამაგირის ქირა მისცეს მუშებს იმ დროის, როცა სახელოსნოში მუშაობა არ არის და თუ დათხოვნილ იქნებიან მაშინ უნდა მიღებულ იქნას საზოგადო დებულება. (ერთი წლის ნამუშევარს ერთი თვის ჯამაგირი, ორი წლისას ორი თვის და ასე).

კრებები და მიტინგები.

დღეს 28 მაისს საღამოს 5 საათზე ქალთა პირველ გიმნაზიაში (ლორის-მელიქოვის ქ.) თფ. კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ. მართავს ქ. თფილისის ყველა რაიონების კოლექტივის კრებას.

— დღეს 10 საათზე „ერთობის“ რედაქციაში შეიკრიბებიან საოლქო და თფ. კომიტეტის წევრები.

— ელექტრონის სადგურზე მომუშავე პროფესიონალურ კავშირის გამგეობა იწვევს თავის წევრებს საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება 28 მაისს პროექტორ „მოლენ-ელექტრიკის“ საზაფხულო შენობაში.

— თამბაქოზე მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ბიურო იმყოფება პეტრე დიდის ქუჩაზე № 18. მიღება 5-დან—8 საათამდე.

— დღეს 28 მაისს მოხდება კრება ავტომობილის სახელოსნოში მომუშავეთა. პავლოვის ქუჩა № 10. დასაწყისი დილის 9 საათზე.

— დღეს მოხდება კრება სალდათებისა არსენალში. 12 საათზე. თემა: „ქალაქის გამგეობის არჩევნები“.

— დღეს მოხდება სალდათების მიტინგი

ნავთლუღში დღის 3 საათზე. თემა: თანამედროვე მომენტი და ქალაქის არჩევნები.

— ორშაბათს 29 მაისს საღამოს 7 ნახ. საათზე მოხდება შეერთებული სხდომა სალდათებისა და მუშების პროპაგანდისტთა კოლეგიებისა. (სახალხოში) ამხანაგებს სთხოვენ ამ კრებას დაესწრონ, რადგან გადასაწყვეტია ამ ორი ორგანიზაციის გაერთიანება.

— დღეს 28 მაისს პროპაგანდისტების კურსებზე ა. ე. თუმანოვი წაიკითხავს ლექციას აგრარულ საკითხზე. მესამე საქალებო გიმნაზიაში, საღამოს 7 ნახ. საათზე.

— ორშაბათს 29 მაისს საღ. 7 ს. ფუღლნი ქუჩა № 3 (მეექვსე სავაჟო გიმნაზია) წაკითხულ იქნება რუსულ და ქართულ ენაზე ლექცია თემა: პოლიტიკური პროგრამა. რუსულად წაიკითხავს გ. გეშტეინი. ქართულად კ. ქვთარაძე, ლექციაზე შესვლა უფასოა.

— კვირას, 28 მაისს, დილის 9 საათზე დანიშნულია კალატოზების პროფესიონალური კავშირის კრება სახელოსნო მართველობაში. (რემესლენაია უპრავა). ვთხოვ ამხანაგებს არ დააგვიანონ.

— დღეს, 28 მაისს, საღამოს 5 ნახ. საათ. სავაჭრო ბანკის შენობაში (ერევნის მოედანი) შესდგება ფოტოგრაფთ და სხვა ამგვარ დარგის მოხელეთა საერთო კრება. განსახილველია: კავშირის მოწყობა, კომისიის არჩევა.

პროვინციის ქრონიკა.

ს. როხი. კვირას 28 მაისს საღ. 8 საათზე სოფ. როხში (ქ. მაზ.) ჰ. მეავანაძის ბეფთიაქთან აგურის სახურავ ქარხანაში გაიმართება როხის მომავალი უფასო სამკითხველოს სასარგებლოთ წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება. ვ. გ. ერთ. მაქ. 1) „უბედური დღე“. 2) „გეორგ-ღლე და შანტაჟისტები“ და 3) „ავტოკეფალია“. წარმოდგენის დაწყებამდე სტ. გ. მეავანაძე წაიკითხავს მოკლე რეფერატს „რევოლიუცია და სოფლები“.

ნანეიშვილისეული (გურია). 5 მაისს ჩოხატაურიდან მოსულ მოწაფეებმა გამართეს წარმოდგენა. შემოვიდა 37 მანეთი. აქედან 10 მან. დაუტოვეს ნანეიშვილისეულის სამკითხველოს.

რუსეთის ამბები.

ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლა დროებითი მთავრობამ უკვე შეიმუშავა ლოთობის წინააღმდეგ კანონ-პროექტი.

განზრახულია ძველი კანონის 42 მუხლი, რომლითაც მომრიგებელი მოსამართლენი სჯიდენ, ასე შესცვალონ:

ქუჩაში ან საზოგადო ადგილებზე მთვრალი გამოჩენისთვის დამნაშავე დაისჯება ორი თვიდან ერთ წლამდე და ექვს თვემდე ციხეში ჩასმით ან სამი თვით დატუსაღებით, ან 300 მ. ჯარიმით.

საზოგადო ადგილებზე ქეიფობისთვის დამნაშავე დაისჯება ორი თვიდან ერთი წლითა და ექვსი თვით ციხეში ჩასმით ან სამი თვით ციხეში ჩასმით ან სამი თვით დატუსაღებით, ან 300 მ. ჯარიმით.

უკეთუ ვინმემ მონაწილეობა მიიღო ბრბოში, რომელიც ძალათ ჩაიგდებს ხელში ღვინის საწყობებს, ან ძალას იხმარს კერძო პირებზე, მოიტაცებს სხვის ქონებას, სხვის ბინაზე შეიჭრება და სხვა, ყოველივე ღირსებაუფლება ჩამოერთმევა და 6—8 წლამდე კატორღაში გაიგზავნება.

— მოწოდება ლოთობის წინააღმდეგ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოუშვა:

„ამ უკანასკნელ ხანებში როგორც პეტროგრადში ისე რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში და სოფლებში ლოთობამ საშიშარი ხასიათი მიიღო, მთვრალებს შეხვდებით ყველგან, ქუჩაში, მატარებელში, ქარხნებში და სხვ. ყველგან გაჩნდა არაყი, ფრონტზე და ყველა სოფელ-ქალაქში, თვრებიან და შემდეგ უწესოებას ახდენენ. როგორც გამოირკვა ყველა ის უწესოება, რომელსაც ამ უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა—ლოთობის შედეგი იყო.

საიდან გაჩნდა არაყი რუსეთში? ვინ ჰყიდის მას? ვინ ათრობს ხალხს? წინათ მეფე ათრობდა მთელ რუსეთს, რადგან მთვრალ და ბნელ ხალხზე იყო დამყარებული მისი ტახტი. ახლა კი რუსეთს ამ მეფის ძველი შინაყმები ათრობს, რომელნიც სადღაც სოროებში მიმალულან. ამ მეფე-რაზბოინიკებისთვის ძლიერ სასურველია არეულობა, საჭიროა რუსეთში დამყარდეს ანარქია, რომ გლეხები, მუშები და სალდათები—ძმა ძმას მიუსიოს. მას უნდა არაყში ჩაახრჩოს რუსეთი.

არაყს თან მოჰყვება ხოცვა-ჟლეტა. სოფელი სოფელს მიესევა, ქალაქი ქალაქს, მაშინ ჟავიანთ სოროებიდან ამოძვრებიან ძველი მთავრობის შინაყმები და მოხდება ის, რაც 1905 წელს. ხალხის მტრები რუსეთის თავისუფლებას სისხლითა და ტალახით შეითითხნიან.

ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ჯარის კაცებო! იცოდეთ რომ ლოთობა თავისუფალ რუსეთს დაღუპვას უქადის. ამიტომ ბოლო უნდა მოეღოს ამ ბოროტებას.

ბნელი ხალხი ასე ფიქრობს რა იქნება ერთი ბოთლი არაყი რომ გადავკრათ? რომ ყველამ ასე ვიფიქროთ მთელი რუსეთი ლოთებად გადაიქცევა და თავისუფლება დასამარდება.

არავინ გაბედოს სპირტის არც დალევა და არც გაყიდვა!

არავინ არ უნდა იყიდოს არაყი და არც დაითროს!

ვინც ახლა დაითვრება და არეულობას მოახდენს ის ხალხის მტერია, ის რუსეთის თავისუფლების მტერია და მისი დაღუპვა სურს. დეე ეს ახსოვდეს რუსეთის ყველა მოქალაქეს.“

— თათბირი დამფუძნებელ კრების შესახებ. დამფუძნებელ კრების შესახებ თათბირმა განიხილა დღიური წესრიგი 25 მაისისთვის, როცა ყველა პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა კომისიის კრება მოხდება.

უპირველეს ყოვლისა აირჩევენ პრეზიდიუმს: თავმჯდომარეს, მის ორ ამხანაგს და ორ მდივანს.

შემდეგ მოხსენებას წაიკითხავენ პროპორციონალურ არჩევნების შესახებ და აირჩევენ ორ კომისიის წევრებს, ერთი კომისია განიხილავს ვის აქვს უფლება დამფუძნებელ კრებას დაესწროს და მეორე დამფუძნებელ კრების არჩევნების წარმოების გეგმას შეიმუშავებს.

კოკოშკინის მაგიერ, რომელიც ავათ გახდა თათბირის საქმეებს განაგებს ბარონი ნოლდე, ნაბოკოვი ინიშნება იურიდიულ თათბირის წევრათ.

— ერთდროული დახმარება მოხელეებს. საუწყებათშორისო თათბირმა დაასრულა მუშაობა სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის საკითხის გამოსარკვევათ, თათბირმა დაადგინა სთხოვოს დროებით მთავრობას მიეცეთ მოხელეებს ერთ დროული დახმარება: 1) პეტროგრადში და მოსკოვში ვინც 3 600 მ. მეტს არ ღებულობს—თვე ნახევრის ჯამაგირი, მაგრამ არა უმეტეს 400 მანეთისა; ხოლო ვისაც 3.600 მ. მეტი აქვს—400 მანეთი. 2) ოდესაში ხარკოვში, ეკატერინოდარში და სარატოვში და სხვა, ვინც 2.400 მ. მეტს არ ღებულობს —თვე ნახევრის ჯამაგირი, ხოლო ვინც მეტს —300 მ. 3) სახელმწიფოს სხვა ადგილებში ერთი თვის ჯამაგირი. ხოლო არა უმეტეს 250 მანეთის, ამ ერთ დროულ დახმარებას განსაზღვრავენ იმ ჯამაგირით, რომელსაც ღებულობდა მოხელე 1917 წლის 1 მაისამდე. ვინც მერე შესულა სამსახურში, ან მანამდე დაუტოვებია, დახმარებას ვერ მიიღებს.

— იუსტიციის წინანდელ მინისტრთა მოღვაწეობის გამოძიება. საგანგებო საგამოძიებლო კომისიამ მიმართა მოსკოვის ნაფიც ვექილთა საბჭოს მიაწოდოს მას ცნობა ყოფილ მინისტრების და სხვა უმაღლეს სანოვნიკების შესახებ:

1) იყო თუ არა შემთხვევა, რომ იუსტიციის მინისტრის, ან სამინისტროს სხვა მოხელეს ძალა დაეტანებიოს სასამართლოს რომელიმე თანამდებობაზის პირისთვის სისხლის სამართლის საქმეში.

2) იყო თუ არა შემთხვევა, რომ სასჯელი ებატიებით პოგრომშჩიკებისთვის და სხვა მიუტევებელ დანაშაულობის ჩამდენთათვის, ან გავლენიან პირთა წყალობით.

3) იყო თუ არა შემთხვევა, რომ სამინისტრო ლდევნიდა სასამართლოს უწყების პირთ მისი პოლიტიკური რწმენისთვის და ისეთ მოქმედებისთვის სამსახურის დროს, რომელიც მთავრობის საერთო პოლიტიკასთან არ იყო შეთანხმებული. ამ ცნობების შეკრების შემდეგ შეუდგებიან ამ ვაჟბატონების გასამართლებას.

— ანარქისტის დასაფლავება. 14 მაისს მოსკოვში ანარქისტებმა დასაფლავეს თავის ამხანაგი ვასილ ლაშკოვი, რომელიც უცაბედათ მოკლეს. მკვლელობა ასე მომხდარა: ერთ დღეს ბრბოს ხელში ჩაუგდია ვილაც ქურდი, მოუნდომებია მისი ჩაქოლვა. ლაშკოვი წაქომაგებია, ბრბოს მას ამხანაგთ მიუღია და მისცვივნიან. მილიციონერებს ძლივს გამოუგლეჯია ხელიდან. კომისარიატში მიუყვანიათ, არეულობის დროს ერთ მილიციონერს რევოლვერი გასვრია, ტყვია ლაშკოვს მოხვედრია და იქვე მომკვდარა.

ანარქისტებმა მკვლელობაში ბრალი მოსკოვის მილიციას დასდეს და პროტესტის ნიშნათ პროცესია გამართეს.

პროცესია ასეთი იყო: საბარგო ავტომობილზე იდო შავი კუბო. კუბოს გვერდით იჯდა შავებით შემოსილი ორი ქალი და ბავშვები—მიცვალებულის ნათესავები: ქალები გულამოსკვნით სტიროდნენ, კუბოს გარშემო მიჰქონდათ ხუთი შავი დროშა და გვირგვინს შავ ლენტზე შემდეგი წარწერა იყო: „ახალი მთავრობის პირველ მსხვერპლს“. გზა და გზა ფურცლებს არიგებდენ შემდეგი საათურით: „კომისარიატში პირველი სიკვდილით დასჯა“.

ნიკოლაევის სადგურამდე, საიდანაც მიცვალებული პეტროგრადს უნდა გაეგზავნათ ანარქისტებმა გზა და გზა მიტინგები გამართეს. ორატორები ისეთ სიტყვებს ამბობდენ, რომ ერთ ადგილს ხალხმა ყვირილი დაუწყო: „ძირს ძირსო“ და კინაღამ ჩამოათრიეს ტრიბუნიდან. ფოსტის ახლო ხალხმა შეაჩერა. აქა-იქ გაისმა ხმები: „ეს მიცვალებული კი არ არის. ეს ოქრო მიაქვთ ამხანაგებთან! გავხსნათ კუბო“-ო!

ხალხმა მოსთხოვა მათ დროშები ძირს დაეშვათ, მაგრამ არა ქნეს. მაშინ გამოუძახეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენლებს, რომ რაიმე უბედურება არ დატრიალებულიყო, მათ დაუჯერეს ანარქისტები, დროშები დაუშვეს და ისე მივიდნენ რკინის გზის სადგურამდე.

შესდგა საგანგებო კომისია ამ მკვლელობის გამოსაძიებლად.

კავკასიის მასწავლებელთა დელეგატების ყრილობა.

25 მაისი. დილის სხდომა.

თავმჯდომარეობს ი. პალმოვი. ის აცხადებს დღიურ წესრიგს. ამასთან თავმჯდომარე ამბობს, რომ ყრილობა მეტის მეტად ჭიანურდება და ზოგიერთი დელეგატები თხოულობენ მის დასრულებას. დღიურ წესრიგში ზოგიერთი საკითხები გამოტოვებულია. დელეგატები თხოულობენ წესრიგში შეიტანონ სკოლის გარეშე განათლების საკითხი, კრება ამას აკმაყოფილებს. შესდგა სექცია, რომელსაც ევალება ამ საკითხის დაწვრილებით განხილვა და წარმოდგენა. ამის შემდეგ კითხულობენ წინანდელ სხდომის ოქმს. კრება მას ერთხმათ ამტკიცებს. გრძელდება საშუალო სკოლის რეორგანიზაციის საკითხის განხილვა. ცოტა ხნის შემდეგ კრება რამოდენიმე წუთით სწყდება, კრების განახლების შემდეგ თავმჯდომარეობს ნ. ცინცაძე. შემოაქვთ წინადადება, რომ შეიტანონ შესწორება იმ მუხლში, სადაც ნათქვამია მასწავლებელთა არჩევის შესახებ. კრება ადგენს მიემატოს ხუთი მასწავლებელი იმ კოლეგიას, რომელიც მასწავლებლებს ირჩევს. ჩრდილო კავკასიის მასწავლებლებს შემოაქვთ განცხადება და ამბობენ, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას პროექტის მიღებაში და აგრეთვე საოლქო კავშირის გამგეობის არჩევაში. იხილავენ ისევ საშუალო სკოლის საკითხს. სხვათა შორის კრება სასურველად სცნობს მოსწავლეთა საპედაგოგიო საბჭოში მონაწილეობას გადამწყვეტი ხმით მეექვსე კლასიდგან დაწყებული პროექტის განხილვა სრულდება და კრებაც საღამომდი გადაიდება.

საღამოს სხდომა.

კრებას თავმჯდომარეობს ზანდუკელი. კით, ხულობენ წინანდელი სხდომის ოქმს და ამტკიცებენ. ხელოვნებათა სექციას შემოაქვთ განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ მინდობილი საკითხები სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ შეიმუშავდნენ. სექცია აცხადებს—რომ ამ საკითხების შემუშავება მიენდო თფილისში არსებულ სპეციალურ ორგანიზაციას. ამის შემდეგ კრებას მოხსენდება დაბალ სკოლების სექციის ნამუშევარი. ამ მოხსენების მთავარი მუხლები ასეთია: 1) სახალხო სკოლის კურსი შვიდი წლისა, 2) ქალ ვაჟების ერთად სწავლება, 3) ერთი სკოლა მეორე სკოლის გაგრძელებას წარმოადგენს, 4) უქმდება ყოველნაირი ატესტატები და მასთან დამოკიდებული უფლება, 5) სკოლაში შესვლას წლოვანებამ ხელი არ უნდა შეუშალოს, 6) სკოლაში მიიღებიან არა ნაკლები 7 წლისა, 8) ერთკლასიანი სკოლის კურს დამთავრებულნი პირდაპირ გადადიან უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლის პირველ კლასში, ხოლო ორ კლასიანისა—მესამე კლასში, 8) სკოლა ავტონომიურია, 9) სკოლას განაგებს კოლეგია. რომელშიაც შედიან მშობელთა, ქალაქთა და ერობათა წარმომადგენლები და მასწავლებლები. ამ უკანასკნელთა რიცხვი კოლეგიის ნახევარს შეადგენს, 10) თვითოეულ სკოლას განაგებს საპედაგოგიო საბჭო, რომელშიაც შედიან ყველა მასწავლებლები და იმდენივე საზოგადოების მხრივ, 11) გამგის თანამდებობა ისპობა და მის ადგილას საპედაგოგიო საბჭო ირჩევს სამის წლით თავმჯდომარეს, 12) ყველა სახალხო მასწავლებლებს ხელახლა ირჩევენ, 13) ყველა ზემოთ-მოყვანილი დადგენილებები შეძლებისდაგვარათ ენკენისთვიდან ცხოვრებაში ტარდება და სხ. კრება სექციის მუშაობას თითქმის უკამათოდ და შეუსწორებლად იღებს. კრება საღამომდის სწყდება.

26 მაისი (დილის სხდომა).

თავმჯდომარეობს ი. პალმოვი. პირველათ კითხულობენ წინანდელ სხდომის ოქმს. კრება ოქმს მცირე შესწორებით იღებს. რადგანაც წინა სხდომაზე გადაწყდა სახალხო მასწავლებლების ხალხის მიერ არჩევა, შემოაქვთ წინადადება შეიცვალოს ეს გადაწყვეტილება. ცოტა კამათის შემდეგ კრება ადგენს: სახალხო მასწავლებლებს ირჩევს სკოლის კომიტეტი, რომელშიაც შედიან: მშობელთა და მცხოვრებთა წარმომადგენელნი და მასწავლებლები. ამის შემდეგ კრება შეუდგა კავკასიის მასწავლებელთა კავშირის პროექტის განხილვას. ცოტაოდენი შესწორებით პროექტს იღებენ. ბოლოს კითხულობენ კერძო მასწავლებელთა სექციის მიერ შემუშავებულ თეზისებს. მოხსენებაში ის აზრია გატარებული, რომ კერძო მასწავლებლები სხვა მასწავლებლებს უნდა გაუთანასწორდენ ყველაფერში და ისინი საზოგადო კონტროლს დაექვემდებარონ. კრება მოხსენებას იღებს. კრება საღამომდის გადაიდება.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ი. პალმოვი. კითხულობენ მოხსენებას საოსტატო ინსტიტუტში და სემინარიებში მოსამსახურე მასწავლებელთა სექციის მიერ შემუშავებულს. მოხსენება ეხება საოსტატო სემინარიების და ინსტიტუტების რეორგანიზაციას. მოხსენებას კრება თითქმის ერთხმად უარყოფს, ვინაიდან იგი სიეზდის მიერ შემუშავებულ პრინციპებს და საზ პედაგოგიურ მოთხოვნილებებს ეწინააღმდეგება. განცხადება შემოდის, რომ არსდება, რუს მასწავლებელთა კავშირი. ამის შემდეგ სწყდება, რომ მოხდეს არჩევნები კავკასიის მასწავლებელთა კავშირის გამგეობისა. ასარჩევია 13 წევრი და ექვსი კანდიდატი არჩევნები პროპორციონალურია. ყველა პარტიები და ჯგუფები კანდიდატების სიას არდგენენ. ამ კანდიდატებს კრება უკამათოდ ერთხმათ ამტკიცებს. არჩეულნი არიან: გ. კონიევი (ს.დ.), იშკოვი (ს.დ.), ბერეზოვსკი (ს.დ), მათი კანდიდატათ პ. წირქვაძე (ს.დ.), საპოჟნიკოვის ქალი (ს.რ.), ილინსკი ლოსი (ს.-რ.). კანდიდატათ კაზაროვისა (ს რ.), ა. მდივანი (ს.ფ.), პარკაძე (ს.ფ.). კანდიდატი ლ. ჩიმაკაძე (ს.ფ.), კაჩარლინსკი (მუსულმანი), ფრიდუნბეკ სუბანხალოვ იმედ ბეკ (მუსულმანი), დუბროვსკი (კ.დ) კანდიდატი ზდანევიჩი (კ.დ.), ოგანეს ტერ მრაკიან (დაშ.) კანდიდატი ა. აბელიანი (დაშნაკ), მელიქ შახნაზაროვი (უპარტიო).

ამის შემდეგ სოც. დემოკრატიული ფრაქციის მხრით წერილობითი განცხადება შემოდის. ამ განცხადებაში ფრაქცია გამოსთვამს თავის აზრს სკოლის ნაციონალიზაციის შესახებ და სიეზდის მიერ თეზისების ზოგიერთ მუხლებს არ ეთანხმება. ფრაქცია შიშს გამოსთქვამს, რომ მიღებული პროექტი სკოლის ნაციონალიზაციისა შუღლს და განხეთქილებას დაბადებს ეროვნებათა შორის. ეს განცხადება პროტესტს იწვევს ფედერალისტებსა, მუსულმანებსა და დაშნაკელებში. ისინი ამის შესახებ პროტესტს აცხადებენ. მეტად ცხარობს ფედერალისტი მდივანი. მას შეტაკება უხდება თავმჯდომარესთან. კრება ღელავს. რამოდენიმე ხნის შემდეგ სიტყვა ეძლევა რამოდენიმე ორატორებს, რომელნიც ახსნა განმარტებას იძლევიან განცხადების შესახებ. ამის შემდეგ იძლევიან წინადადებას სიეზდის დახურვისა, მაგრამ რადგანაც მეტათ მნიშვნელოვანი საკითხები გაურჩეველი რჩება, კრება მეორე დღისთვის გადაიდება. სხდომა ღამის 12 საათზედ იხურება.

ჰ. ხ—შვილი.

კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების სიეზდი.

(მეექვსე დღე, 26 მაისი).

თავმჯდომარეობს ტერ-გაბრიელიანი. გრძელდება კამათი ნოე ჟორდანიას მოხსენების შესახებ.

გ. აიოლლო ამბობს, რომ დღეს ძალთა კოორდინაციასთან გვაქვს საქმე და არა ბურჟუაზიის ან სოციალისტების ბატონობასთან. ჩვენ ვეყრდნობით დემოკრატიას, რომელსაც თავის წარმომადგენლები ჰყავს დღეს სამინისტროში და დიდ ხიანს მოუტანდით რევოლიუციას, თუ მთავრობას არ დაუჭერდით მხარს დემოკრატიულ პრინციპების განხორციელებაში.

მ ჯუღელი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ს.-დემოკრატი ერთგვარ გულის ტკივილს იგრძნობდა, როცა გაიგებდა ჩვენი ამხანაგების სამინისტროში შესვლის ამბავს. თუ დღევანდელი რევოლიუციის მამოძრავებელი დემოკრატიაა, ცხადია მართვა-გამგეობაც მის ხელში უნდა იყოს. ჩვენ თუ ვახდენთ გავლენას ბურჟუაზიაზე, ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ისიც დიდ გავლენას ახდენს ჩვენზე იმით, რომ მთავრობაშია მოკალათებული და თავის კლასიურ პოლიტიკას აწარმოებს. დღემდის იგი ორ ფრონტზე იბრძოდა: მარჯვენით და მარცხნით. დღეს მარჯვნიდან საფრთხე არ მოელის და მთელი ძალა ჩვენს წინააღმდეგ მომართა. ამ შემთხვევაში შეთანხმების პოლიტიკა დამღუპველია რევოლიუციისათვის, ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს დემოკრატიის იზოლიაცია, ჩვენ უმრავლესობა ვართ. თუ პროლეტარიატი, გლეხობა და ჯარი შეკავშირდება, მათ არ უნდა დაუთმონ ბურჟუაზიას ძალა-უფლება, თვით უნდა ჩაიგდონ იგი ხელში, კოალიციონურ სამინისტროში შესვლა კომპრომისული პოლიტიკის ნაყოფია და დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. ჩვენ მომხრე ვართ პროლეტარიატისა, გლეხებისა და ჯარის დიქტატურის. ძირს მთავრობა, ძირს კოალიციონური სამინისტრო და გაუმარჯოს იმ მთავრობას, რომელიც შესდგება დემოკრატიის წარმომადგენლებისაგან.

გრ. გიორგაძე. დღევანდელ რევოლიუციას რომ დემოკრატია ხელმძღვანელობს—ეს უდაო დებულებაა. ერთი ხელით რომ ძველს ვანგრევდით, მეორეთი ახალს ვაშენებდით. შემდეგ პოლიტიკურ ელემენტს დაერთო სოციალური, წამოდგა მუშათა, გლეხთა, ომისა და ზავის და სხ. კითხვები. აქ ბურჟუაზიის ინტერესები დაეტაკა პროლეტარიატისას და რომ არევ დარევა შეეტანა რევოლიუციონურ დემოკრატიაში, ბურჟუაზიამ განაცხადა, მე ვანებებ მმართველობას თავს, პორთფელებს ვყრი და როგორც გინდათ ისე მოიქეცით. ცხადია, თავს სამუქარას ის ვერ შეასრულებდა, მაგრამ უნდოდა ჩაეთრია სოციალისტები, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ პროლეტარიატთან ამ პირველ შეტაკებას მოიგებდა. ბურჟუაზია ფიქრობდა, თუ ჩემთვის ანარქია საშიშია ეკონომიურის მხრით, დემოკრატიისათვის იგი საშიშია პოლიტიკურის მხრითო. ამხანაგებმა გადაჭარბებული მნიშვნელობა მისცეს ამ უკანასკნელ მომენტს და გადადგეს ნაბიჯი სუბიექტიურათ თუმცა სწორი, მაგრამ ობიექტიურათ შემცდარი. მათ ამ ნაბიჯით უნდოდათ არევ-დარევის ლიკვიდაცია და ამით ჩვენც დაგვაკისრეს პასუხისმგებლობა. მაგრამ რევოლიუციონური ხალხი და ჯარი სხვას ვერ მიანდობს სისხლით მოპოვებულ თავისუფლების დაცვას. ჩვენ მთავრობას იმდენათ უცხადებთ ნდობას, რამდენადაც იგი მიდის რევოლიუციონური გზით, რადგანაც აბსოლიუტური ნდობა არ არსებობს.

ორატორთა სია დასრულდა, მაგრამ სიეზდი კიდევ აძლევს სიტყვას ერთ გლეხსა და ერთ მუსულმანს.

ჰელიძე ამბობს, რომ ჯერ ჩვენ არ შეგვწევს ძალა ხელში ჩავიგდოთ დიქტატურა, ბოლშევიკები დუმაში მონაწილეობის წინააღმდეგნიც იყვნენ, მაგრამ ცხოვრებამ ისინი დაამარცხა. საჭიროა დროებით მთავრობას დაუჭიროთ მხარი.

ეფენდიევი. სოციალისტები იმისთვის მოიწვიეს სამინისტროში, რომ მათზედაც გავრცელებულიყო ის სიძულვილი, რომლითაც ხალხი ეპყრობა საზოგადოთ მთავრობას. კარგათ იცოდენ, რომ სოციალისტების სამინისტროში შესვლა ვერ მოაწესრიგებდა არეულდარეულ ცხოვრებას და ამით ხალხის თვალში ავტორიტეტი დაეკარგებოდათ და დამფუძნებელ კრებაზე არჩევნებში მათ ხმას არ მისცემდენ. ორატორი წინააღმდეგია მთავრობისათვის მხარის დაჭერის.

თავის საპასუხო სიტყვაში **ნოე ჟორდანია** აღნიშნავს, რომ როგორც სრული ნდობის, ისე სრული უნდობლობის მომხრენი ვერ არჩევენ, რომ რევოლიუცია ევოლიუციის გზით ვითარდება. საზოგადოება იყოფა რამდენიმე კლასებათ. ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას მუშათა კლასი, მის მაღლა—წვრილი ბურჟუაზია, შემდეგ საშუალო, სხვილი ბურჟუაზია თავად-აზნაურობა და სამღვდელოება. ყველა ესენი ისწრაფიან ჩაიგდონ ხელში მართვა-გამგეობა. როცა პროლეტარიატი მოძრაობაში მოდის და დაბლიდან ძალას ატანს დანარჩენ კლასებს, იწყება საყოველთაო რევოლიუცია. მართველობას იგდებს ხელში ის კლასი, რომელიც ახლო დგას მასთან: ჯერ სხვილი ბურჟუაზია ართმევს მართვა-გამგეობას თავადაზნაურობასა და სამღვდელოებას, მას მიყვება საშუალო ბურჟუაზია და ასე ბოლომდის. პროლეტარიატი ერეკება მის მაღლა მდგომ კლასებს ძალა უფლებისაკენ, თვით კი მუდამ რეზერვში რჩება და სანამ დანარჩენ კლასებს არ შეუსრულებიათ თავისი ისტორიული დანიშნულება და ზედ-მეტ ბარგათ არ ქცეულან—პროლეტარიატი არ ცდილობს მათ გვერდი აუხვიოს და თვით მოექცეს მმართველობას სათავეში. მოწინააღმდეგეებს უნდათ მოკავშირე კლასები, სუსტი ძალები უკან, რეზერვში მოაქციონ. ეს საზიანო იქნებოდა. ჩვენი ტაქტიკაა ძლიერი ძალა, პროლეტარიატი იდგეს უკან და როცა საჭირო იქნება დაიჭიროს მოკავშირეთაგან მიტოვებული პოზიციები. ასე მოიქცა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო რევოლიუციის პირველ დღეებში. მას შეეძლო ხელში ჩაეგდო მართვა-გამგეობა, მაგრამ ეს არ მოიმოქმედა. დღეს დადგა დრო, მარჯვენა ფრთა ბურჟუაზიისა გარბის მთავრობიდან, მაგრამ ეს არ იძლევა საბუთს სამინისტროში შესვლის გასამართლებლათ, მათ ადგილს დაიჭერდა საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ამხ. აიოლლო ამბობს, რომ დღეს არ არის დრო სოციალურ მოთხოვნილებათა წამოყენებისო. კონოვალოვი სწორეთ ამისთვის გავიდა სამინისტროდან და ვინც სოციალურ რეფორმებს არ დაუჭერს მხარს, მას მუშათა კლასი და გლეხობა ჩამოშორდება, მე პრინციპიალურათ არა ვარ წინააღმდეგი ძალა-უფლების ხელში ჩაგდების, მაგრამ ამას თავის დრო აქვს. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ შეკავშირებული და სამინისტროშიაც შეუკავშირებლათ, ცალ-ცალკე დივართ. ჯერ კიდევ არ მისულვართ იმ ფეხურზე, რომ საჭირო ყოფილიყო სამინისტროში შესვლა. მაგრამ რადგანაც ამხანაგებმა გადადგეს ეს ნაბიჯი, ახლა უკან გამოწვევა არ შეიძლება. ხოლო მთავრობა უნდა ასრულებდეს შეკავშირებულ პროლეტარიატის და გლეხობის ნებას. წინასწარ აბსოლიუტური ნდობის გამოცხადება არ შეიძლება.

მოხსენებლის რეზოლიუციის გარდა შემოდის ორი რეზოლიუცია. ერთი მოითხოვს მთავრობისადმი სრული ნდობის გამოცხადებას, მეორე, რომელიც წარმოადგენს ბოლშევიკებმა, მოითხოვს სრულ უნდობლობას კოალიციონურ სამინისტროსადმი და მართვა გამგეობის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში გადასვლას. ორივე რეზოლიუცია სიეზდმა უარყო და ხმის დიდი უმეტესობით მიიღო ნოე ჟორდანიას შემდეგი რეზოლიუცია:

„პროლეტარიატს და მის მომხრე გლეხობას, რომლებიც უკიდურეს ოპოზიციას ძირითად რევოლიუციონურ ძალას წარმოადგენენ თანამედროვე საზოგადოებაში, არ შეუძლიათ დაიჭირონ მათ მაღლა მდგომ კლასის ადგილი რევოლიუციის განვითარების გზაზე, სანამ ეს უკანასკნელი არ გამოიყენებს მთელ თავის პოლიტიკურ შემოქმედების ძალღონეს, არ ჩამოშორდება მოძრაობას და არ გადაიქცევა ზედმეტ ბარგათ.

რუსეთის რევოლიუცია დღევანდლამდე იმყოფება განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც პროგრესიულ ბურჟუაზიას ჯერაც არ განუხორციელებია თავისი ძირითადი მიზანი, რომ ცოტათ თუ ბევრათ აღადგინოს ძველი რეჟიმისაგან დანგრეული და დარღვეული მდგომარეობა ქვეყნისა, რომელშიც ის მონაწილეობას ღებულობდა ომიანობის სამი წლის განმავლობაში და ამით გაეწმინდა გზა პოლიტიკურ თავისუფლებისათვის.

მუშათა კლასს არ შეუძლია აიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა არც ქვეყნის დანგრევა-დარღვევისა, არც მის შეჩერების შესახებ. მაგრამ, იღებს რა მხედველობაში ფაქტს პროლეტარიატის წარმომადგენელთა სამინისტროში შესვლისას, სიეზდი აუცილებელ საჭიროებათ აღიარებს სრულ კოორდინაციას, გაერთიანებას და შეთანხმებას, როგორც მათ, ისე სამინისტროს მოქმედებისას შეკავშირებულ პროლეტარიატის, ჯარისკაცთა და გლეხების

სრულიად რუსეთის საბჭოსთან. დროებითი მთავრობასა და მასში შესულ სოციალისტებს შეუძლიათ იმედი ჰქონდეთ ჩვენის მხრით სრული ნდობისა და დახმარებისა მაშინ, როცა ცხოვრებაში ატარებენ ამ შეკავშირებულ დემოკრატიის ნებას".

მიღებულ იქნა აგრეთვე შემდეგი დამატება, რომელსაც თვით მომხსენებელმა დაუჭირა მხარი. ამასთანავე სიეზდს აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია დაუყონებლივ შეუდგეს დამფუძნებელი კრების მოწვევას, რომელიც შესძლებს გამოხატოს შეკავშირებულ დემოკრატიის ნება და მიიყვანს ქვეყანას დემოკრატიულ რესპუბლიკამდე".

ნოე ჟორდანიას წინადადებით საქმის გამოსარკვევათ გაიგზავნა 6 დელეგატი იმ თათბირზე, რომელიც ცალკე გაემართათ სიეზდზე ჩამოსულ 100-მდე გლეხს.

ამ დროს შემოდის ახლათ დაბრუნებული ემიგრანტი, ცნობილი პუბლიცისტი ბიქტორ თევზაია (ბ. თეკლათელი). გრ. გიორგაძის წინადადებით სიეზდი ესალმება მას, მისი დანახვა აწყვეტს ტაშისცემასა და ოვაციებს იწვევს. ბ. თევზაია მოკლე შინაარსიანი სიტყვით მიმართავს დამსწრეთ და ამბობს, რომ საუკეთესო მოლოდი კავკასიის დემოკრატიისა იყო ის, რომ იგი ბოლომდინ დარჩა ერთგული იმ დროშისა, რომელსაც ახალგაზრდობიდანვე ვემსახურებოდით. მისი გამოსვლები სახ. დუმაში არჩევნების დროს, პრესაში და სხვ. გვახარებდა ჩვენ, ვამაყობდით ამით და ევროპიელებს ვეუბნებოდით, რომ კავკასიაში უკვე განხორციელდა სხვა და სხვა ერთა დემოკრატიის სოლიდარობა, ერთად გამოსვლა, რაც ასე საჭიროა, ამ ომის დროს კავკასიის დემოკრატიის წარმომადგენელთა გამოსვლა საამაყო იყო მთელი ევროპის თვის, მთელი ევროპა უსმენდა მათ ხმას და თვალყურს ადევნებდა მათ მოქმედებას. დეპუტატ რ. გრიმმა და ფოგელმა დამავალეს გადმოგცეთ თქვენთვის სალამი, იმ კუთხისათვის, რომელმაც მისცა თავმჯდომარე პირველ რევოლიუციონურ ორგანოს,—კარლო ჩხეიძე. ფოგელს თვით უნდოდა ენახა ეს კუთხე. ნაძლობას გიძლვნით, რომ გამუდმებით მუშაობდით, და ერთხელაც არ გიღალატნიათ დემოკრატიის დროშისათვის. ჩვენც მზათა ვართ გავაგრძელოთ თქვენთან ერთად ეს ნაყოფიერი მუშაობა.

ამის შემდეგ აკაკი **ჩხენკელი** აკეთებს მოხსენებას ომსა და ზავზე. მომხსენებელმა სხვათა შორის სთქვა, გერმანიის სოც. დემოკრატიის მოქმედება გამოწვეულია არა სუბიექტიური, არამედ ობიექტიური მიზეზებით და როცა დადგება მომენტი, გერმანიის ს.-დემოკრატია შეასრულებს კაცობრიობის წინაშე თავის მოვალეობასო.

ა. ჩხენკელს მიესალმენ თავისი ამომრჩევლები სოხუმელი დელეგატები და უსურვეს ჯანმრთელობა დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

კამათი გადაიდო შემდეგი სხდომისათვის.

ვ. ალათიშვილი.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში·

ქალ. ოზურგეთი.

ამ დღეებში აქ შესდგა ოზურგეთის განახლებული სარაიონო კოლექტივის კრება, რომელმაც გაარჩია მრავალი საორგანიზაციო კითხვები და აირჩია პრეზიდიუმი. კოლექტივის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. სიმ. ცხომელიძე. ამავე კრებაზე მიღებულ იქნა პარტიაში რამდენიმე წევრი.

მეორე მორიგი კრება კოლექტივისა მოხდა 20 მაისს. გაირჩა სხვათა შორის კითხვა ოზურგეთის მომრიგებელი კამერისა და მის მიერ შემუშავებული სავალდებულო დადგენილების შესახებ. კოლექტივმა მომრიგებელი კამერისაგან შემუშავებული წესები დაამტკიცა ზოგიერთი მუხლის შეცვლის შემდეგ.

გაირჩა აგრეთვე სხვა საყურადღებო კითხვებიც, მიიღეს ახალი წევრებიც. უკანასკნელად არჩეულ იქნა დელეგატები ამიერ კავკასიის ს.-დემოკრ. პარტიის ორგანიზაციების წარმომადგენელთა სიეზდზე.

აირჩიეს: ამხ. გიორგი შილაკაძე, სიმონ ცხომელიძე და მიხ. საბაშვილი.

ლიხაურისა და შემოქმედის ორგანიზაციები ცალკე რაიონებათ გამოეყვენ. აირჩიეს თავიანთი რაიონული კოლექტივი. პარტიულ სიეზდზე დასასწრებლად ლიხაურის ორგანიზაციიდან არჩეულია ვარ. კალანდარიშვილი.

ხუსეინ.

ს. ნანიეშვილისეული. (გურია).

მაისს აქ მოხდა ადგილობრივ ს. დ. მ. ... ერთა კრება. კრებამ სხვათა შორის გა... ლა საკითხი იმის შესახებ, რომ 4 აპრილს ... ხატაურში რაიონულ კრებაზე პარტიის ... კრებათ მიიღეს ტ. მშვიდობაძე, გ. ს. ძნელაძე და ივ. ძნელაძე, რომლების წარსული მოქმედება შერაცხული იყო და მათი პარტიაში მიღება არა სასიამოვნო. კრებამ ერთხმათ დაადგინა გამოირიცხოს ეს სამი პირი პარტიის წევრობიდან და თავიანთ წარსულ დანაშაულობისთვის გასამართლებულ იქნენ.

ადგილობრივი.

ქარ. ებრაელების კრება.

შაბათს, 20 მაისს, ბ. კოკიელოვის, თავმჯდომარეობით მოხდა ქარ. ებრაელების სალოცავში საყოველთაო კრება. უნდა აერჩიათ 5 კაცი ებრაელების საზოგადოების კომიტეტის წევრებათ. თურმე ნუ იტყვით ბ. კოკიელოვს, ხალხის შეუკითხავათ, მდიდრების და, კანდიდატებათ დაესახელებია თავისი ...შები როგორც მაგ. ორი ძმა შაბანოვი, ...შვილი, რაბ...შვილი და თვით ბ. კოკიელოვი, როცა დავინახე, რომ ასეთი უწესოება ხდებოდა, კომიტეტის წევრებათ გადიოდენ ისეთი პირნი, რომელთაც ხალხი და ხალხის ინტერესები ფეხებზე ჰკიდიათ და მთელი მათი პოლიტიკა მათი ჯიბეების გატენაზეა დამყარებული, ავედი ტრიბუნაზე და მოვინდომე ამეხსნა ხალხისთვის კომიტეტის მნიშვნელობა და ის თუ ვინ უნდა აერჩიათ. მაგრამ აქ მოხდა ის, რასაც არ მოველოდი, ბ. კოკიელოვს არ ესიამოვნა ჩემი გამოსვლა, მოვარდა მტაცა საყელოში ხელი და დამიწყო ნჯღრევა და ყვირილი: აბა მოდი შენ იყავი თავმჯდომარეო, და კრება დასტოვა. ხალხს ეს არ ესიამოვნა და ასტყდა ჩოჩქოლი, მაგრამ ჩქარა დამშვიდდენ. ასე გათავდა ეს პირველი კრება ქართველ ებრაელთა. ასეთი მოღვაწეობა გამოიჩინა პირველთავე ბ. კოკიელოვმა.

მიშა მანაშეროვი.

სად. აქსტაფა.

14 მაისს შესდგა კრება აქსტაფის რაიონის რ. ს. დ. მ. პ. კრება მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, რადგანაც კრების დარბაზს ბევრი უპარტიო მოაწყდა და მოითხოვდა წევრებათ მიღებას. დიდი ხვეწნა დაგვჭირდა, რომ მიეტოვებიათ ზალა და დროებით დაეცალა, სანამ გავიგებდით მათ პიროვნებას. თავმჯდომარეობდა ამხ. ხუხუნაშვილი, მდივნად ლ. კაპანაძე.

დღიურ წესრიგში იყო შემდეგი: 1) ხელმძღვანელ რაიონულ კოლექტივის არჩევა, 2) წევრების მიღება, 3) პოლიტიკური კლუბი, 4) მკითხველთა კოლეგიის შედგენა, 5) სახელმძღვ ნელოები, 6) გავრცელება პარტიულ გამოცემების („ერთობა" და „Барьба"-სი) და 7) ქალთა წრის შედგენა.

კოლექტივის წევრებათ ხმის უმრავლესობით არჩეულ იქნენ: Бездѣточный Поликарпъ ხუხუნაშვილი (თავმჯდომარეთ), იონა კაპარაძე (მდივნათ), ანდრია შანიძე, სიმონ მეფარიშვ ლი (ხაზინადრათ), მოსე ზარამიძე, და ლ. კაპანაძე. კანდიდატებად: Сливинскій და ზაქარია კოშკაძე.

აქსტაფელი.

ს. დიდი-ჯიხაიში.

კვირას 21 მაისს შესდგა პარტიული კრება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრებისა. კრება მრავალ რიცხოვანი იყო. თავმჯდომარეთ აირჩიეს ამხ. ალ. ლეჟავა. თავმჯდომარემ კრებას წარუდგინა კოლექტივის მიერ დასახელებული კანდიდატები მომავალ სასოფლო კომიტეტების არჩევნებისთვის.

ა. ბ.

რევოლუცია პროვინციაში·

საგურამოს რაიონი (დუშეთის მაზრა). საგურამოს რაიონმა, რომელშიაც შედის 18—20 სოფელი, ამოირჩია სარაიონო კომ სარი ამხ. ლევ. მამულაშვილი. ხალხს ხსენებულს პირის იმედი ჰქონდა და არც მოსტყუვდენ, კომისრათ ღირსეული ადამიანი აირჩიეს, მაგრამ მხოლოდ ორი კვირა იყო ის კომისრათ. ის მიიწვიეს დუშეთის მაზრის კომისრის თანაშემწეთ. ამ ამბავმა ხალხს გული დასწყვიტა. ამხ. მამულაშვილი ამ რაიონისთვის ძლიერ საჭირო იყო როგორც ადგილობრივი პირობების მცოდნე საკმაო ცოდნით და გამოცდილებით აღჭურვილი; ამხ. მამულაშვილის გადაყვანის შემდეგ, საგურამოს რაიონის კომისრობა დროებით ჩააბარეს ამავე რაიონის კოოპერატივის ნოქარს გ. ტატიშვილს.

ეს პირი ხსენებულ თანამდებობის თვის შეუფერებელია, ხალხი უკმაყოფილოა, ზოგი რითა გლეხკაცობას აზრათა აქვს, რომ პირადათ სთხოვონ ამხ. ლ. მამულაშვილს, რომ დაუბრუნდეს საგურამოს რაიონს.

ამ ჟამათ აქ პურის ნაკლებობაა და ყურის მგდებელი კი არავინ არის. აქაური სასურსათო კომიტეტი კი ვერაფერ საქმიანობას იჩენს. უპურობას აქ ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ასეთ უპურობის დროს სამინდისა და ქერისგან არაყს ხდიან, სასურსათო კომიტეტმა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

ვერც საგურამოს კოოპერატივის საქმეა კარგათ. გამგეობა ყურადღებას ნაკლებათ აქცევს. ნოქარი, რომელიც კოოპერატივში იყო, ის დროებით საგურამოს რაიონის კომისრობას ასრულებს, ამით კი კოოპერატივის საქმე ძალიან უკან და უკან იწევს. კოოპერატივში ორი უცოდინარი მოსამსახურეა, იმათ კი ვაჭრობის საქმე არ იციან. წევრები ანგარიშს თხოულობენ, მაგრამ გამგეობა ყურსაც არ იბერტყავს. დროა ანგარიში გაუწიოს გამგეობამ კოოპერატივის წევრებს.

სოფლელი ამხანაგი.

კლდეეთის საზოგადოება (შორაპ. მაზ.). 15 მაისს მოხდა ამ საზოგადოების საერთო კრება; კრების მიზანი იყო: სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და ერთი სასურსათო კომისიის წევრისა. კრებას დაესწრენ შორაპნის მუშათა საბჭოს წარმომადგენელნი. თავმჯდომარეთ იქმნა ამორჩეული გრიგოლ საყვარელიძე, მდივნათ პროკლე დევიძე, რომელმაც გააცნო საზოგადოებას თუ როგორ უნდა მომხდარიყო ფარული კენჭის ყრით არჩევნები. მერმეთ დასახელებული იქნენ აღმ. კომიტეტის წევრების კანდიდატები სულ 21 კაცი, სასურსათო კომისიის—ორი კანდიდატი. აღმასრულებელ კომიტეტის წევრებათ კენჭის ყრით, ხმის უმეტესობით გავიდნენ შემდეგი პირნი: 1. გოცაძე ერმინე, 2. კვანტრიშვილი ვალერიან, 3. ახრახაძე ელიზბარ, 4. გძელიძე მელიტონ, 5. გაბრიჭიძე გერმოგენ, 6. ჩიხლაძე ალექსანდრე, 6. ხუსკივაძე ნესტორ, 8. მახათაძე ლავრენტი, 9. ნებიერიძე ბეგლარ, 10. ვაჭარაძე ტრიფონ, 11. ხუსკივაძე ანტონ, 12. კაპანაძე გრიგოლი, 13. ჩუბინიძე მოსე, 14. სევერიან გოგსაძე და ერმინე ჯანაშ ილი. მათ კანდიდატებათ 1. ლად. კამლაძე, 2. ედიშერ ბარამიძე და კალენიკე ლიბრაძე, სასურსათო კომ. წევრათ ვ. კაპანაძე. კომიტეტის წევრებმა გამართეს სხდომა და აირჩიეს მუდმივ თავმჯდომარეთ ალექსანდრე ჩიხლაძე და მდივნათ ვალ. კვანტრიშვილი. საზოგადოების კომისარათ აღმ. კომ. წევრებმა ერთხმათ აირჩიეს მოქალაქე ნეოფიტე ღლონტი. საზოგადოთ არჩევნები სასურველად ჩატარდა.

აღმ. კომ. მდ. ვ. კვანტრიშვილი.

ქ. ოფში (ლაზისტანი). აქ გაიმართა მიტინგი, რომელსაც მრავალი ჯარისკაცები და მუშები დაესწრენ. თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ამხ. პრაპორშჩიკი ვ. თავართქილაძე. ილაპარაკეს სხვადასხვა ორატორებმა და გააცნეს დამსწრე საზოგადოებას რევოლიუციის მნიშვნელობა და მოუწოდეს მათ მხარი დაუჭირონ დროებითი ახალ მთავრობას და დაიცვონ დისციპლინა. ყველა იმას ამტკიცებდა, რომ თავისუფლება საფრთხეშია, ჩვენგან ითხოვს დიდ სიფრთხილეს, დიდ ენერგიას, დიდ შრომას და დიდ ბრძოლას, სანამ ჯერ კიდევ დემოკრატიული რესპუბლიკა არ დაგვიმყარებიაო. მერმედ წაკითხულ იქმნა ბრძანება კერენსკის სამხედრო პირების შესახებ. ჯარისკაცები კერენსკის სამხედრო მინისტრად დანიშვნას ხანგრძლივი ურას ძახილით შეხვდა. დასასრულ ჯარისკაცებმა მოითხოვეს თავისუფალ დროზე ასეთი მიტინგი კიდევ გაგვიმართეთო.

ამხანაგი.

ყარაფხანე (სპარსეთი). 7 მაისს შესდგა რუსეთის თავისუფალ ჯარისკაცთა კრება. აფრიალეს წითელი დროშა შემდეგი წარწერით: პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. შინაარსიანი სიტყვები წარმოსთქვეს ჯარისკაცებმა. მოითხოვეს უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი.

ბ. ჭანტურია.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. ბაში. (ქუთაისის მაზრა). რევოლიუციის მსვლელობამ დღეს აქაც ჩააბა ხალხი საერთო ფერხულში. აქამდის ჩვენი სოფელი ძლიერ ჩამორჩენილი იყო სხვა სოფლებზე, მაგრამ დღეს სხვასთან ერთად ჩვენი სოფელიც გამოფხიზლდა და შეუდგა საერთო საქმეების კეთებას. იმართება კრებები, დგება სხვა და სხვა საკითხები და სხვა. კრებებს ხალხი ბლომად ესწრება, მაგრამ სამწუხაროდ ორატორები კი იშვიათად ჩამოდიან და ეს გარემოება ძლიერ გვავიწროებს. დღეს აქ სოფლად ძლიერ საჭიროა ხალხისთვის კარგი გამოცდილი მოლაპარაკე.

კარგი იქნებოდა, რომ კვირაში ან თვეში ერთხელ მაინც მოვიდოდეს ვინმე წარმომადგენელი და აუხსნიდეს ხალხს საჭირბოროტო საკითხებს.

კრებაზე გადაწყვიტეს: საყულიის საზოგად. კანცელარიის გამოყოფა.

აქ არსებობს ახლად დაარსებული სამკითხველო, რომელიც ჯერ ჯერობით ძლიერ ღარიბია.

არღნის ჭყვინს, ღვინის სმას და ქეიფობას ბოლო არ ელება.

ეს ერთი ხანია აქ კარგი ამინდებია. ყანები სულ დაითესა.

აკაკი ფშანიხპირელი.

ს. მცხეთა. (დუშეთის მაზრა). 20 მაისს, როგორც იქნა ველირსეთ და მოხდა ადგილობრივ წიგნთ-საცავ სამკითხველოს წლიური კრება. ამ კრებაზე გამოირკვა, რომ მთელი წლის განმავლობაში გამგეობას არაფერი გაუკეთებია და სამკითხველოს საქმეც რიგზე ვერ წასულა. როგორც ანგარიშიდან ჩანს, საზოგადოებას ჰყოლია 40 წევრი, საწევრო ფული და კერძო შემოწირულება სულ მთელი წლის განმავლობაში შემოსულა 310 მან. 67 კ. კრებამ ძველი გამგეობა გადააყენა და მის მაგიერ აირჩია ახალი: ს. ბედუქიძის ქალი, რუსუდან გედევანიშვილი და მღვდელი ჯანიევი; კანდიდატებათ ანასტასია გედევანიშვილისა და გ. ღოღაბერიძე. კრებამ გადაწყვიტა სამკითხველო საკრედიტო ამხ ნაგობის სადგომში გადაიტანოს.

გლეხის შვილი.

ნაძალადევი. 17 მაის ნაძალადევის მოწინავე მუშებს ქონდათ კრება. კრების საგანს შეადგენდა ყოფილი მაძებარი პოლიციის უფროსათ ნამყოფი გაგიევი და იმისი წარსული. ნაწილი ბრალდებებისა ასეთია: 1) 1913 თუ 1912 წ. გაგიევმა ნავთი გადაასხა და დასწვა ყოვლად უდანაშაულო ამხ. აბრამ ასლამაზაშვილი. 2) გაგიევმა გუბერნიის ციხეში გაატანა პავლე ხიზანაშვილი, თავის ერთგულ მცველებს, თან დააბარა გზაში მოეკლათ, რაც იმათ ერთგულად შეასრულეს, ის მოკლეს გუბერნიის ციხის ახლოს. 3) გაგიევმა მას უკან კიდევ გაატანა საგუბერნიო ციხეში სპანდარაშვილი და ჟორდანია, პოლიციელებს თავისი ნაკაზი მისცა, ამათაც სისრულეში მოიყვანეს, ისინი დახოცეს გზაში.

ამის შემდეგ გამოცხადდა გაფიცვა მაძებარ პოლიციაში დატუსაღებულები მოითხოვდენ უბორკილოდ ნუ გაგვგზავნითო.

ეს ამაღელვებელი ბრალდებები კრებამ მოისმინა და ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: თფილისის მუშებს არ შეუძლიათ გულგრილათ უყურონ გაგიევის ხელებს, ამხანაგების სისხლში ამოსვრილს და სამარცხვინოთ მიაჩნიათ იმისი ხელების ფათური თფილისის თავისუფალ მოქალაქეთა შორის და ამიტომ მედგრათ მოითხოვენ დაუყონებლივ გაგიევი იქმნას დატუსაღებული და გადასახლებული იქ, სადაც არა ერთი და ორი ამხანაგი გადაუსახლებია.

ამხ. მონდ. **ნ. ტიგიშვილი, ი. მამაცაშვილი, ბ—შვილი.**

წერილები რედაქციის მიმართ.

ჩვენ კარეტის ცეხის მუშებმა შევაგროვეთ და გავ ნაწილეთ სალდათთა აღმასრულებელ კომიტეტის საჭიროებისათვის ასი მან. ლიტერატურის შესაძენათ და გასავრცელებლათ ასი მანეთი დახოცილ მებრძოლთა ოჯახების სასარგებლოთ, ას ოთხმოცდა თერთმეტი მან. და 50 კ. ვთხოვთ „ფაიქარს" გადაბეჭდოს ეს წერილი.

ამხანაგების მონდობილობით **გიორგი დალაქიშვილი და ხტეპან აგამოვი.**

30 მარტს დამეკარგა „პასპორტი" № 164 სამტრედიის და მუხნას შუა. მპოვნელს ვთხოვ გამოგზავნოს ამ მისამართით: სადგური საჯევახო, საჭამია სერზე, დომენტი ერასტოს ძე ხუნდაძეს.

გულითად მადლობას უცხადებთ ისიდორე ბეჟუკის ძე რუსიეშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შეაგროვა ქ. ბათუმში ნაცნობ ამხანაგთა შორის, ხვარბეთის ახლათ გახსნილ უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ 92 მ. 15 კ. და მღ. დიომიდე კუტიძეს, რომელმაც შეგვიგროვა 48 მ. 40 კ. აგრეთვე მადლობა შემომწირველთ. იმედია ამათ სხვებიც მიბაძვენ

გამგეობის წევრნი: **ლადიკო თოხაძე, ვანო ცერცვაძე და ნიკიფორე ვახაძე.**

ღრმეს მადლობას უცხადებთ დ. სუფსის მც. ჭოა კერვის მოხელე მაშო ივლიანე მარშანიშვილის ასულს ვლადიმერ კუკულავას მეუღლეს, რომელმაც კეთილ ინება და ბრძოლის ველზე გვითავაზა მისი ნაკეთები თავისუფლების დროშა შესაფერი წარწერებით: Да здравствуетъ революціонная армія и демократическая республика.

პარკის ჯ. კაცების და ადგილობრივი კომიტეტის მონდობილობით **ხერაპიონ ჭელიძე.**

მადლობას უცხადებთ ყველა იმ პირთ, ვინც დახმარება აღმოუჩინეს გომახურის წიგნ-საცავ სამკითხველოს.

გომახურის უფასო წ. გნ-საცავ სამკითხველოს **გამგეობა.**

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ჯარისკაცი გიორგი ქველაძე მსახურებდა დ. ხასავ-იურტში, ტერსკოი ობლასტში 220 ზაპ. პეხოტნი ბატალიონში 8 როტაში 1 ლ ზვოდში. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: დ. ჭიათურა, პილატე შეყლაშვილს.

— ჯ. ქ. შალვა მალაქ. სამხარაძე მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში, მეოცე კავკასიის მსროლელ ქვეითა პოლკში, მეჩვიდმეტე ნესტ რავოი როტაში. ყველას ვსთხოვ ვინც რაიმე იცის მაცნობოს შემდეგი მისამართით: Д. армія 648 пѣшая подольская дружина 2-я рота Александру Самхарадзе.

— ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ 18 აპრილს გარდაიცვალა 221 სათადარიგო პოლკში ნოვონიკოლაევის პროდოვოლსტვენი საწყობში მოსამსახურე ჯარისკაცი პორფილე გულერდავა. დასაფლავებულია ყაგიზმანის სამხედრო სასაფლაოზე. ჯ. ქ. გრიგოლ ყარგეშვილი. შეიძლება მომმართოთ წერილით ამ ადრესზე: Карская область, Какизманское Почтовое отдѣленіе, сел. Новониколаевка продовольствен. складъ, Григорій Карегишвили.

— ესე ლაზარეს ძე ჰეიშვილი მსახურებდა მომქმედ არმიაში, მე-10 გრენადერის პოლკში, მე-16 როტაში, მე-3 ვზვოდში. წელიწადი და ათი თვეა მას შემდეგ, რაც არაფერი ვიცით მის შესახებ. ამისთვის გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცის გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: Ланчхуты, Акеты Власу Цуладзе.

ჩვენი ფოსტა.

ანტონ თევზაძე. თქვენი განცხადება 26 მაისს მივიღეთ.

ილ—დახელს. თქვენი წერილების მხოლოდ დასასრული მივიღეთ. დასაწისი კი ჯერ არ მიგვიღია.

რედ.-გამომცემელი მღ. მ. ბოხოხაძე.

ექიმი მღვდელი
ს. ა. ლეჟავა
შინაგანი, ბავშვებისა და კანის ავადმყოფობა. მიიღება ყოველდღე, გარდა კვირა დღისა, დილის 8—10 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 52.
10—7

ექიმი გ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიძისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

გ. გ. მეგრაბიანი
შინაგან ავათმყოფობა ქლექისა და გულის. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში გახსნილა და წამლობა ხსივებით, აგრეთვე ყველანაირ ქლექის წამლობა და ელექტრონით წამლობა: თავისუფლების,—ტრომით, დიდი სალინიდი ხშეციალური მიღება და არსონვალის ტოკითა ფილტვების ავადმყოფობისთვის, გულისთვის, არტერიოსკლეროზისთვის და აგრეთვე მაგარის ჭავლის, სისხლ ნაკლებობის, ქმილობის, ნევრალგიებისთვის. ხერხემალის ტვინის ავათმყოფობისთვის, ბუასილი, და რევმატიზმისთვის. ყოველ დღე 9—1 ს-მდე და საღამოს 5—7ს-მდე. მისამართი: მებუდოვის ქუჩა № 23. ტელეფონი 7—92.

სტუდენტი პეტროგრადის უნივერსიტეტის
(ყოფილი მასწავლებელი)
ამზადებს ყველა უწყების პირველ-დაწყებითი, დაბალი და საშუალო სკოლებისთვის, აგრეთვე სხვადასხვა ხარისხი და წოდებაზე. ვერა, ყაზბეგის ქუჩა, № 5.

ექიმი ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების მიღება საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი-კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00.

ქ. ქუთაისში.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ზაქრაძის სახლი.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე

განცხადება·

ქ. თფილისის ნოქართა მომხმარებელი საზოგადოების გამგეობა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ უკვე გახსნილ სავაჭროში, სერგიევის ქუჩა № 1 (ყოფილი ბინა პოლლაკი და კომპ.) გურგენოვის მაღაზიის გვერდით, ხდება ჩაწერა ახალი წევრებისა, მიცემა საანგარიშო წიგნაკებისა, იძლევა პასუხი შეკითხვებზე და სხვა. აგრეთვე მიიღება საპაიო გადასახადი, იმ წევრთაგან, რომლებიც ფულის ნაწილ-ნაწილათ შემოტანის უფლებით სარგებლობენ.

(1—1) **გამგეობა.**

ქ. თფილისში, ოლღის ქ. №26, ს.-ტავართქილაძის კანტორა და წიგნის მაღაზია
„განათლება"-ში
იყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გეგზავნება მსურველთ ფულის გამოგზავნისთანავე.
პროვინციელ აგენტებს ვუგზავნით აგრეთვე ყველა ადგილობრივ ქართულ გაზეთებს „ერთობა", „ბორბა", „კავკ. რაბოჩი", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „საქართველო", ჟურნ. „განათლება", „ქართული სიტყვა", „პაიქარი", და ყველა ახლად გამოსულ წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი: ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

[illegible] № 1.